პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მაისი, 1939 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო ფასი 30 კაპ. № 16 (108)

მოსკოვი. კრემლი

ქ. გორის მშრომელი მოსახლეობისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების გაერთიანებული მიტინგის მისალმება

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქალაქ გორის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი საბჭოთა საქართველოს მწერლებთან ერთად მოგესალმებათ თქვენ — მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, პროგრესიული კაცობრიობის იმედსა და სიამაყეს, ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებათა შემომქმედსა და სულისჩამდგმელს.

კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში თვითეული ჩვენი ნაბიჯის შთამაგონებელია თქვენი დიადი, უსაზღვროდ საყვარელი სახელი, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ურყევი ძლიერების სიმბოლოს, კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის სახელოვან საბრძოლო დროშას.

მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ღრმად ვსწავლობთ **ლენინ-სტალინის დიადი პარტიის** ისტორიულ XVIII ყრილობაზე თქვენ მიერ გაკეთებულ მოხსენებას, თქვენს გენიალურ მითითებებს სოციალისტურ სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებაზე და გაძლიერებაზე, საბჭოთა პატრიოტიზმის ყოველმხრივ გაღრმავებაზე, კაპიტალისტურ გარემოცვაზე, საბჭოთა ხალხის მობილიზაციურ მზადყოფნაზე, ახალი სოციალისტური ინტელიგენციის როლზე.

სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ კომუნიზმის გულისათვის და მკერდით დავიცვათ საბჭოთა მიწა-წყლის წმინდათაწმინდა საზღვრები — ყოველივე ეს ჩვენს შეგნებაში ღრმად და განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების წმინდა გრძნობასთან თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ.**

ეს გრძნობები საწინდარია ჩვენი ახალი გამარჯვებებისა მესამე სტალინური ხუთწლედის უდიდესი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ გრძნობებით გამსჭვალული საბჭოთა ხალხი პირისაგან მიწისა აღგვის სოციალიზმის ყოველ მტერს, რარიგ მზაკვრულადაც არ უნდა ინიღბებოდეს იგი.

საბჭოთა საქართველოს მწერლები თავიანთ შემოქმედებითს ამოცანად სახავენ და საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ, ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში ჭეშმარიტი ხალხური გრძნობები — სიყვარული, ერთგულება და უსაზღვრო მადლობა მშობლიური **სტალინისადმი,** — იმისადმი, ვინც გამოსჭედა ჩვენი ბედნიერი და აყვავებული ცხოვრება, ვინც განუყრელი ძმური მეგობრობით დააკავშირა თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ხალხები, ვინც სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქცია ჩვენი სამშობლო.

საბჭოთა საქართველოს მწერლებს მხურვალედ სწადიათ მხატვრულ სახეებში აღბეჭდონ ქართველი ხალხის მიერ დიდი **სტალინის** წინამძღოლობით წარმოებული გმირული რევოლუციური ბრძოლის მგზნებარე ეპოპეა, ასახონ ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და იზრდებოდა ახალი კაცობრიობის უდიდესი გენიოსი.

გორში, ბედნიერ ქალაქში, დიდი სტალინის სამშობლოში გამართული ჩვენი დღევანდელი კრება წარმოადგენს საბჭოთა ხალხისა და მისი სოციალისტური ლიტერატურის ერთიანობის ბრწყინვალე დემონსტრაციას.

აქედან, ქართლის გულიდან, ამ საუცხოო ადგილებიდან საქვეყნოდ გაისმის ერთსულოვანი ძახილი:

გაუმარჯოს კომუნიზმის დიადსა და უძლეველ დროშას!

ვაშა და დიდება საყვარელ მამას, ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

ქართველი მწერლები გორში

28 მაისის მზიანი დილაა...

გამოჩნდა კლდეზე გადმომდგარი ციხე და მატარებელი შეჩერდა. ერთი ვაგონი მთლიანად დაცარიელდა. მატარებელმა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მატარებელმა კი არა, ერთმა დიდმა შემოქმედებითმა განზრახვამ აქ მოიყვანა მთელი ჯგუფი ქართველი პოეტებისა და მწერლებისა, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შექმნან კრებული, დასწერონ წიგნი ერთს დროს პატარა და უცნობ, მაგრამ დღეს მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის ცნობილსა და საყვარელ ქალაქზე — ბელადის სამშობლო ქალაქ გორზე. და გასაკვირველი არ არის, თუ მწერლებს, ამ საპატიო და საამაყო ამოცანით გატაცებულთ, დროშებითა და სიმღერის გუგუნით შემოეგება ამ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა, მუშათა, ინტელიგენტთა და მოწაფეთა კოლონებად დარაზმული. სადგურზე მოეწყო მიტინგი.

მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა გორის რაიკომის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. **სხირტლაძემ.** პირველად მწერლებს მიესალმა გორის რაიონის ინტელიგენციის სახელით ორდენოსანი მასწავლებელი ამხ. **გრ. გლურჯიძე** და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით ამხ. **ა. ღლონტი.**

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. **სანდრო ეულმა** აღუთქვა დამსწრეთ, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები მოუხმობენ მთელს თავიანთ შესაძლებლობას, რათა მგზნებარე პოეტური შთაგონებით ასახონ ქალაქი, სადაც დაირწა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის — დიდი **სტალინის** აკვანი. პოეტმა **გიორგი ლეონიძემ** გორს და მის მკვიდრთ მიმართა უკვე პოპულარული თავისი ლექსით, რომლის სტრიქონები სავსებით შეესაბამებოდა და გამოხატავდა იქ თავმოყრილ მწერლების ემოციებს და სულიერ განწყობილებას.

სიტყვების დასასრულს მიტინგმა დიდხანს შეუწყვეტელი მქუხარე ტაშისცემითა და ვაშას ძახილით მიიღო მისალმებანი დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინისადმი** და გამოზრდილი სტალინელის, ქართველი მწერლობის მეგობრის ამხანაგ **ლავრენტი ბერიასადმი.**

მიტინგიდან მთელი ხალხი **ლენინის** განიერი ხეივნიანი ქუჩით გაემართა იმ სახლისაკენ, სადაც დაიბადა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი.

თითქმის ყველა იქ მისულ მწერალს უნახავს ეს სახლი. მაგრამ მწერლები ერთხელ კიდევ ყოველი მხრიდან ათვალიერებენ აგურის პატარა სახლს, ბრტყელბანიანს, ყავრით დახურულს, სახლს რომელიც ჩასმულია მაღალსვეტებიან მარმარილოს თაღებში.

დაძაბული ინტერესით და გულმოდგინებით ეცნობიან მწერლები მუზეუმს, შესანიშნავი შენობის ორ დარბაზში მოთავსებულს და დიდებულად მოწყობილს. განა შეიძლება კაცმა აუღელვებლად დაათვალიეროს ეს მუზეუმი, ეს სახლი, ეს კარმიდამო, ეს ქუჩა, რომელთაც დიდი **სტალინის** ხელი შეჰხებია, სადაც მას ფეხი დაუდგამს.

მწერლები გარშემოხვევიან ორდენოსან მასწავლებელს, ჭაღარა პეტრე კაპანაძეს და დაძაბული ყურადღებით ისმენენ მის საუბარს, რომელიც თვალწინ უდგენს მათ დიდი **სტალინის** სიყრმისა და სიჭაბუკის წლებს.

მწერლებმა დაათვალიერეს გორის ციხეც, რომლის რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს.

საღამოს საზაფხულო თეატრის დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ ქართველი მწერლები, გორის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრება გახსნა ორდენოსანმა მწერალმა ამხ. **ალიო მაშაშვილმა.** მოხსენება თემაზე „**სტალინის** სახე ქართულ ლიტერატურაში" წაიკითხა ამხ. **დ. ბენაშვილმა.**

ამავე თემაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ბესო ჟღენტმა.**

შემდეგ ხალხთა დიდი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ილო მოსაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ა. მაშაშვილმა, ალ. აბაშელმა, გიორგი ქუჩიშვილმა, კარლო კალაძემ, სანდრო ეულმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, კალე ბობოხიძემ, მაყვალა მრევლიშვილმა, მარიკა მიქელაძემ, ვ. გაბესკირიამ, ვ. გორგაძემ, ვარლამ ჟურულმა, ილია ხოშტარიამ.

ხალხთა დიდი ბელადისადმი სიყვარულით და ერთგულების გრძნობით გამთბარ ლექსებს მხურვალე ოვაციებით შეხვდა დარბაზი. პოეტები მრავალჯერ გამოიწვიეს ლექსის წასაკითხათ. დასასრულ გაიმართა კონცერტი გორის რაიონის ეთნოგრაფიული გუნდის ძალებით.

საინფორმაციო ცნობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შესდგა საქ.კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: ა) კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ. ბ) მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ, გ) საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან პარტიული კონტროლის კომისიის შედგენის შესახებ, დ) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პლენუმმა მოიწონა პროექტები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებისა: ა) კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ და ბ) მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1939 წლის 25 მაისის სხდომის შესახებ

25 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ა. ანდრეევმა.**

ამხანაგმა **ა. ა. ანდრეევმა** გამოაქვეყნა იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც შეტანილია კავშირის საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველად.

დეპუტატმა **მ. დ. ბაგიროვმა** შემოიტანა წინადადება შეტანილ იქნას კავშირის საბჭოს მესამე სესიის დღის წესრიგში ის საკითხები, რომლებიც კავშირის საბჭომ უნდა განიხილოს.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

2. სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

3. მოკავშირე რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორე და მესამე სესიებს შორის და უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ **ა. მ. ალემასოვის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს დადგენილებას — მთავრობის მოხსენება სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. მოსმენილ იქნას პალატების საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი და განხილულ იქნას ბიუჯეტი ცალ-ცალკე პალატების მიხედვით — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში.

ამით დაიხურა კავშირის საბჭოს მესამე სესიის პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 25 მაისის სხდომის შესახებ

25 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. მ. შვერნიკმა.**

ამხანაგმა **ნ. მ. შვერნიკმა** გამოაქვეყნა იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც შეტანილია ეროვნებათა საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველად.

დეპუტატებმა **მ. პ. პაპიანმა** და **ს. გ. ხოშტარიამ** შემოიტანეს წინადადება შეტანილ იქნას ეროვნებათა საბჭოს მესამე სესიის დღის წესრიგში ეროვნებათა საბჭოს განსახილველად შემოტანილი საკითხები, აგრეთვე შემოიტანეს წინადადება — მოხსენება დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

2. სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

3. მოკავშირე რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მეორე და მესამე სესიებს შორის და უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

ეროვნებათა საბჭო იღებს დადგენილებას — მთავრობის მოხსენება სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოსმენილ იქნას ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. მოსმენილ იქნას პალატების საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი და განხილულ იქნას ბიუჯეტი ცალ-ცალკე პალატების მიხედვით — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში.

ამით დაიხურა ეროვნებათა საბჭოს მესამე სესიის პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 25 მაისის გაერთიანებული სხდომის შესახებ

25 მაისს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

მოხსენებით უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის პირველი პუნქტის — სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **ა. გ. ზვერევი.**

ამხ. **ზვერევის** მოხსენების დასრულების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. ანდრეევი** კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველ გაერთიანებულ სხდომას დახურულად აცხადებს.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1939 წლის 26 მაისის სხდომის შესახებ

26 მაისს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის, დეპუტატ კ. ი. ნიკოლაევას თანამოხსენება დღის წესრიგის პირველი მუხლის — სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი დეპუტატები: **ტ. ი. კულიევი,** (აზერბაიჯანის სსრ საბირ-აბადის ოლქი), რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ვ. ვ. ვახრუშევი,** დეპუტატი **დ. ს. კოროტჩენკო** (უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის ამურ-ნიჟნედნეპროვსკის ოკრუგი), **უ. იუსუპოვი** (უზბეკეთის სსრ ტაშკენტ-სტალინის ოლქი), და **ბ. ა. დვინსკი** (როსტოვის ოლქის ტაგანროგის ოკრუგი).

ამით დაიხურა კავშირის საბჭოს მესამე სესიის მეორე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 26 მაისის სხდომის შესახებ

26 მაისს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

ეროვნებათა საბჭო ისმენს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** თანამოხსენებას დღის წესრიგის პირველი მუხლის — სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის კამათზე სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი დეპუტატები: **მ. ა. ბურმისტენკო,** (ადიღეს ავტონომიური ოლქის მაიკოპის სასოფლო ოკრუგი), **ვ. გ. ვანეევი** (ბელორუსიის სსრ მინსკის საქალაქო ოლქი), **ს. გ. ხოშტარია** (აფხაზეთის ასსრ გაგრის ოლქი), **რ. კ. იბრაგიმოვი** (ბაშკირეთის ასსრ მელეუზოვის ოლქი), **გ. ა. დინმუხამეტოვი** (თათრეთის ასსრ ნოვოშეშმინის ოლქი) და **ნ. პ. გუსევი** (ყირგიზეთის სსრ კეტმენ-ტიუბინის ოლქი).

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს მესამე სესიის მეორე სხდომა.

მოსკოვი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

ამხანაგ ლავრენტი ბერიას

ქ. გორის მშრომელი მოსახლეობისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების გაერთიანებული მიტინგის მისალმება

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ქალაქ გორის — მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადისა და საყვარელი მასწავლებლის, დიდი **სტალინის** სამშობლოს — მშრომელები, შეკრებილნი მიტინგზე საბჭოთა საქართველოს მწერლებთან ერთად, მგზნებარე სალამს უძღვნიან სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის სტალინურ სახალხო კომისარს, ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს, საქართველოს სოციალისტური ლიტერატურისა და კულტურის მეგობარს.

თქვენი შესანიშნავი შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" საქართველოს საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნებათა ოსტატების აღფრთოვანების დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

ჩვენ, ქართველი მწერლები, ამოცანად ვისახავთ ავსახოთ ჩვენს შემოქმედებაში საბჭოთა ხალხის ერთგულება და სიყვარული დიდი **სტალინისადმი,** ამაღელვებელ მხატვრულ სახეებში აღვბეჭდოთ ქართველი ხალხის გმირული, განმათავისუფლებელი ბრძოლის დაუვიწყარი ეპიზოდები, ვუმღეროთ ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და ძლევამოსილების შემომქმედსა და სულისჩამდგმელს—მშობლიურ სტალინს.

თქვენი ყოველდღიური ზრუნვითა და ყურადღებით აღზრდილი საბჭოთა საქართველოს მწერლები განუხრელად ანხორციელებენ თქვენს მითითებებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მწერალი უნდა იყოს უსაზღვროდ ერთგული თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, დიადი ლენინურ-სტალინური პარტიისადმი, იგი მუდამ უნდა აღრმავებდეს და აფართოვებდეს თავის კავშირს დიად საბჭოთა ხალხთან.

ქართველი ხალხი განაგრძობს და აძლიერებს თქვენ მიერ შთანერგილ სიყვარულისა და ზრუნვის ტრადიციებს საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნებათა ოსტატების მიმართ. ეს საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმატებით განახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ეპოქაში მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

გაუმარჯოს ნაცად სტალინელს, ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ჩვენი ქვეყნის შნო და ფერი

ალექსანდრე აბაშელი

ხვავიანო მზის წისქვილო,
ანთებულო მიწის პირო,
მიწის ხმაო საკუთარო!
კლდის ნაპრალო გარღვეულო,
ზეცის ელვა-დაფრქვეულო,
ამირანის ნაბუდარო!
ზევით—ცისკრის ნაპერწკალო,
ქვევით — შუქით სავსე წყალო,
ნისლო მაღალ მთებისაო!

ცის ლაჟვარდო აფრენილო,
მზის სხივებით დაფენილო
ჩრდილო ორბის ფრთებისაო!
განთიადის ოქროს წვეთო,
შელამების ლურჯო სვეტო,
მოჩუხჩუხე წყაროს თვალო,—
ცის და მიწის მონაბერი
ჩვენი ქვეყნის შნო და ფერი
ერთად როგორ ჩამოვთვალო!

წინაპართა ბრძოლები სამშობლოსათვის

ვიქტორ გაბესკირია

ცხრა ძმა ხერხეულიძე

ყანაში, მინდვრად ძმები მუდამ ყოფილან ერთად,
ერთად შეუკრავთ ბულულები და პურის ძნები;
და ეხლაც ველზე მარაბდისა მრისხანე მტერთან
შესაბრძოლებლად ისევ ერთად მოსულან ძმები.

აი, გამოკრთა ცის ტატნობზე სხივები დილის,
ინათა ველზე და გაბრწყინდა დროშები, ჯვარი.
დაჰკრეს ნაღარა და უეცრად ხმალამოწვდილი
დაეშვა ველზე საბრძოლველად ქართველი ჯარი.

ისმის ყიჟინა: „დაჰკარ!" „სძლიე!" „ქართლზე მშვიდობა!"
იბრძვიან ძმებიც ურიცხვ მტრებთან, აღარ კრთებიან.
არ ჩამოგვრჩესო და ბრძოლაში არ შეშინდესო,
ყველაზე უმცროსს, გამოუცდელს აკვირდებიან.

გადასძახებენ, ამხნევებენ, ისიც აღარ ჰგავს
შემკრთალ მეომარს, მტრის მრისხანე იერიშს უძლებს.
წინ მიიწევენ მეომრები მტრის ჯარში, მაგრამ
ოთხი მოაკლდათ ომში ცხრა ძმა ხერხეულიძეთ.

შეირყა, გატყდა ურიცხვ მტრებთან რაზმები რკინის,
დროშა ბრძოლისა მთებში მიაქვს ფერმიხდილ მხედარს.
უკანასკნელი ძმათაგანი მტრის ჯარში ჰკვეთს,
მოუხმობს ძმებს და მეომრებში მათ ველარ ხედავს.

ისიც დაეცა... მწუხრში მკრთალი მზე ანთებს ლამპარს,
მტერი კი სთელავს ველს დაღუპულ მეომრის ნათესს.
მდუმარე ველზე წამომდგარა დაჭრილი პაპა
და ამბობს: „ძმებო, ზეცას თქვენი სული განათდეს!".

ომიდან დაბრუნებულან

იქ, სადაც თავი მოუყრიათ ვერხვების ჩრდილებს,
სხედან, ვაჟკაცნი ნებიერნი და მოილხენენ.
ყველა შეჰხარის გამარჯვებულთ, ომგადახდილებს,
ისმის სიმღერა, შრიალებენ ეზოში ხენი.

ემატებიან. აღარ უჩანს ლხინს დასასრული,
ცეკვავს წრე ქალთა, მომლხენთ ქართულ დაირით ართობს.
მხოლოდ არ მოსჩანს იმათ შორის ერთი ასული,
მორიდებია მათ ლხინსა და ბაღში ზის მარტო.

შემოფანტვია ნაწნავები, დაჰყურებს მიწას,
ჩამოდის ცრემლი, ყვავილივით გაფითრებულა, —
რადგან მან ტრფობა სამუდამო ვისაც შეჰფიცა,
ის სხვებთან ერთად ომიდან არ დაბრუნებულა.

მუზეუმში

სად შეეგება მათ, ვინ იცის, ბედი მსახვრალი!
წასულან გმირნი წარსულ დროთა, ამ ქვეყნად დარჩათ:
ეს მუზარადი, ნატარები ბრძოლებში ხმალი,
ვერცხლის დამბაჩა.

ზოგჯერ ჩნდებიან რუხ კედლებზე მათი ჩრდილები
და ფერწასულნი მნახველთა წინ თითქოს კრთებიან,
რადგან ბედნიერ, გალაღებულ ქვეყნის შვილები
მათ მოკრძალებით იხსენებენ, აკვირდებიან.

ი. გრიშაშვილი

პოეზია მადლია, და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცი, —სთქვა ჩვენი ხალხის დიდმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ. სწორედ ასეთი ნამდვილი პოეტური მადლითაა დაჯილდოებული ჩვენი დროის ერთი უნიჭიერესი საბჭოთა პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

წარსულში იგი ერთი უპოპულარესი და საინტერესო პოეტი იყო, მაგრამ ი. გრიშაშვილი უფრო საინტერესო გახდა საბჭოთა პირობებში, როდესაც მისი პოეტური სახეები და ვირტუოზული სტრიქონები ახალი საბჭოთა ცხოვრების აზრებითა და გრძნობებით დაიტვირთა. საბჭოთა სინამდვილემ ახალი შინაარსი და გაშუქება მისცა მის პოეზიას, და ნიჭიერმა პოეტმა აქაც გამოამჟღავნა თავი, როგორც გულწრფელმა საბჭოთა პოეტმა, ლირიკული პოეზიის ოსტატმა. იგი უცებ არ მისულა ამ სინამდვილესთან, მას ჰქონდა ინტერვალი და წარსულის პოეტური რეციდივები, თუმც იგი უმოქმედობაში არ ჩავარდნილა, იგი წლების განმავლობაში ეწეოდა მეტად საინტერესო კვლევით მუშაობას, მაგრამ მან თავის ახალ ლექსებში დამახასიათებელი პოეტური ოსტატობით ჩააქსოვა შესანიშნავი პოეტური სახეები საბჭოთა ცხოვრების სინამდვილიდან.

რა მწარედ მოტყუვდნენ ისინი, ვისაც ახარებდათ ი. გრიშაშვილის საბჭოთა სინამდვილიდან გარიყვა, მისი ლექსების ანაქრონიზმად გადაქცევა! მათ ავიწყდებოდათ, რომ საბჭოთა სინამდვილეს ჰქონდა და აქვს მაცოცხლებელი ძალა, რასაც არ შეიძლებოდა არ აემოძრავებინა პოეტის შემოქმედება, მით უმეტეს ისეთი გულწრფელი პოეტისა, როგორიც ი. გრიშაშვილია. და აი, გრიშაშვილი ისევ ამეტყველდა. მან დაამტკიცა, რა შეუძლია პოეტისადმი სტალინურ მზრუნველობას და საბჭოთა სინამდვილის სიმშვენიერეს. ამ სიმშვენიერემ შეაიარაღა პოეტი ახალის გრძნობის ძვირფასი თვისებით, და მანაც შექმნა ძვირფასი პოეტური ნიმუშები.

სავსებით სწორი შეფასება მისცა ი. გრიშაშვილის ამ შემოქმედებითს გამოცოცხლებას ჯერ კიდევ რუსთაველის პლენუმზე ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში: „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა ხუთი წლის განმავლობაში“. იგი ამბობდა: „რაპელების პოლიტიკის მეოხებით იოსებ გრიშაშვილს დიდხანს შერჩა „გაუსწორებელი რეაქციული“ პოეტის ეპიტეტი, მაგრამ თავისი შემოქმედებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ გრიშაშვილმა დაამტკიცა, რომ მას ღირსეულად შეუძლია საბჭოთა მწერლის საპატიო სახელწოდების ტარება“ („მნათობი“, 1938 წ. № 1).

ი. გრიშაშვილმა წერა 1907 წელს დაიწყო და მას შემდეგ ბევრი პოეტური შედევრი შემატა ქართულ პოეზიას. პოეტს დიდი სწავლა-განათლება არ მიუღია, ეწაფებოდა თვითგანვითარებას, მუშაობდა ქართულ თეატრში. აქ გაიგონა დიდი მწერლების სახელები, აქ ისწავლა მწერლობის სიყვარული, ეს იყო მისი უნივერსიტეტი. აქედან დაუკავშირდა იგი ცარიზმის სულშემხუთველ პირობებში მომქმედ ქართველი ინტელიგენციის წრეებსა და გაეცნო იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას. ახალგაზრდობის პერიოდში თითონ ხელმძღვანელობდა ზარფუხის თეატრალურ წრეს, რომლისათვისაც წერდა ვოდევილებს („ტიმოთეს ლეღვი“, „ბოიკოტი“ „ლოთები ორთაჭალაში“ და სხვ). ამ ხანაშივე გავრცელდა მისი ლექსები, ქალაქური ფოლკლორის მიხედვით დაწერილი („არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან“, „სად შენა და სად მარუსას თვალები“ და სხვა.) მისი შემოქმედების ეს პირველი ნაბიჯები მოსამზადებელი პერიოდი იყო დიდ ლიტერატურაში შესასვლელად.

მაშინდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უყურადღებოდ არ დასტოვა პოეტის პირველი შემოქმედებითი ცდები. ზოგს ცამდე აჰყავდა, ზოგი აუგად იხსენიებდა, ვინაიდან მის ლექსებში მათი აზრით, არ ისმოდა ტრადიციული პატრიოტული ხმა, რადგან პოეტი გაჰყვა ინდივიდუალისტურ-ეროტიული პოეზიის გზას და ამით ემატკბილებოდა რეაქციის შეშინებული წვრილბურჟუაზიული საზოგადოების გემოვნებას. პოეტის ეს გზა მოდერნისტულ მოვლენად ითვლებოდა.

ი. გრიშაშვილის შემოქმედებამ ჭარბად განიცადა თავისი დროის გავლენა და მისი ტკივილები. მან ერთ ხანად მებრძოლი პოეზიის წინაშეც მოიხადა ვალი, პირველი რევოლუციის დამარცხების გავლენით სწერდა ლექსებს, სადაც გამოხატავდა ბრძოლის მისწრაფებებს („ტუსაღის სიმღერა“), რეაქციის სინამდვილეს („ირგვლივ სიბნელე მეფობს ყველგან“, „ზამთარი“) და სხვ. მაგრამ ამ გზას დიდხანს ვერ შერჩა და გაჰყვა ეროტიული ღელვის, კოცნისა, სატრფიალო, ლალატის და სამიჯნურო უდარდელობის პოეზიას, ეს იყო პოეზია ცხოვრების სინამდვილიდან გამიჯნვისა, ვიწრო განწყობილებათა ნაჭუჭში ჩაკეტვისა, აღმოსავლური მგრძნობელობით გატაცებისა.

ამ თემას მაშინ ბევრი მოტრფიალე ჰყავდა, მაგრამ ი. გრიშაშვილი იმით განსხვავდება მათგან, რომ მას არ ჰყავდა ტოლი ამ გრძნობის გამოხატვაში ლამაზი, დაუშრეტელი პოეტური სახეებითა და ფერებით. მართალია, პოეტის ოსტატობა არ ემსახურებოდა დროის პროგრესიულობას, მაგრამ შეუძლებელია უარყოფილ იქნას გრიშაშვილის იმდროინდელი ისეთი პოეტური ქმნილებები, როგორიცაა „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“, „უბნის ფერი სალამო“, „ხელთათმანის ღილი“, „ქორწილი ჩვენს უბანში“, „ზღაპარი გამაკში“ „გენაცვალე“, „რა კარგი ხარ რა კარგი“ და სხვ. ეს ლექსები ნამდვილი პოეტური შედევრებია და გრიშაშვილის პოეტური მგრძნობელობის დამახასიათებელი. მაგრამ გრიშაშვილი არ იყო მარტო სიყვარულით შემოზღუდული პოეტი. იგი არასდროს არ ივიწყებდა სამშობლოს საკითხსაც.

მაგრამ როცა ჩემს სამშობლოს, ისევ
დამწვარ-დატანჯულსა,
უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას,
რჯულსა, —
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის
ფიცით
და მსურს მეც ვსთქვა: „ხანჯლის
დაკვრა ქართველებმა გულში ვიცით!“.

ასე წერდა პოეტი 1916 წელს თვითმპყრობელობის დროს („ალექსანდრე სუმბათაშვილს“). მაგრამ მის პატრიოტიზმს ჰქონდა რაღაც თავისებური სახე, ძველი თბილისური კოლორიტი. იგი ძველი თბილისის რომანტიკით იწვოდა და მრავალ ლექსში უმღერა სათუთი და მწველი სტრიქონები ყარაჩოღელების თბილისს, ნარიყალას, შეითანბაზარს და ისანს. ძველი თბილისის სურნელება ი. გრიშაშვილის სტიქია იყო.

თავის შესანიშნავ შრომაში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ი. გრიშაშვილი წერდა: „ბავშვობიდანვე შემიყვარდა იგი, მზიური ნისლით დაბურული ნარიყალის ციხის ისტორიული ნაშთი ღრმა საიდუმლოებასავით იყო ჩემს წინაშე აღმართული. ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლირწამებში დავაპატიმრე“. თბილისი გრიშაშვილის პოეზიის შთაგონების უდიდეს საგანს შეადგენდა. ძველი თბილისის ეგზოტიკურობით მოჯადოებულ პოეტში თბილისი ყოველთვის იწვევდა მწველ განცდებს.

ძველი თბილისის რომანტიკულ ეგზოტიკურ ფონზეა ამეტყველებული მისი შესანიშნავი ლექსები „ქორწილი ჩვენს უბანში“, „ტრიოლეტები შეითანბაზარში“, „აშაპშანისკენ“, „ავლაბარი“ „თათრის ქალი სუფსარქისში“ და სხვ. ამ ლექსებში გრიშაშვილი მოსჩანს, როგორც თბილისის უნაზესი და მისი შთაგონებით მოხიბლული პოეტი, მაგრამ თბილისის რომანტიკულმა სიყვარულმა შეუშალა პოეტს ხელი ახალი საბჭოთა საქართველოს დაბადებას შეხვედროდა ჯანსაღი განწყობილებით.

ცხოვრების ახალმა მსვლელობამ მაინც დაარწმუნა პოეტი, რომ ძველის ნანგრევებზე იბადებოდა ახალი, ბედნიერი საქართველო, ახალი სოციალისტური თბილისი, და თუმცა ძნელი იყო პოეტისათვის ეს, მან მაინც შესძლო ახლის შეგრძნობა. ახლის შეგრძნობის ასეთ დამახასიათებელ ლექსად უნდა ჩაითვალოს მისი საუცხოო „დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს!“ (ჟურნალი „ახალი კავკასიონი“, № 1-2, 1925 წელი).

ამ ლექსით ი. გრიშაშვილმა სამგლოვიარო სიმღერა უთხრა თავის ძველ განწყობილებას.

„აი, სეირი ჯერ არნახული,
სადღაა ემხი და სილამაზე,
არ სჩანს ურმები მოხარდახული
ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე....
ღვინის საფლავზე არვინ მიგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეჰ, სადღა ნახავთ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით“.

ამ რომანტიკული სინანულით გამთბარ სტრიქონებს პოეტმა დაუპირდაპირა სუსტად, მაგრამ გაბედულად ახალი საქართველოს სიცხადე და აღიარა ძველი გზის შეცვლის აუცილებლობა.

„ძველო თბილისო, ჩემი მიზნები
აღარ მაქვს გულში, რომ გინახავდი...
გადიწყდა! უნდა შევცვალოთ გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ...
ნახვამდის“.

ლიტერატურულმა კრიტიკამ მაშინ სათანადოდ ვერ შეაფასა პოეტის ეს მისწრაფება. და იმის მაგიერ, რომ ხელი გაეწვდინა მისთვის, დიდხანს ამყოფა ამ განწყობილებათა რკალში. მაგრამ პოეტს არ შეშინებია გზიდან გადახვევისა, მან უფრო ხმამაღლა გაიმეორა სხვა ლექსში თავისი სურვილი: „უნდა შეიგრძნო ახალი ხანა, უნდა უმღერო რკინას და ფოლადს“, და ხელის შემშლელ კრიტიკოსების წინააღმდეგ პირდაპირ სთქვა:

„მე შეიძლება ვერ ვწერდე ისე,
როგორც შეშვენის ახალ დროებას,
ამისთვის უნდა მიხვლეტდეთ სადგისებს
და „თანამგზავრებს“ კუდში მოვება?!“.
კარგი, ვთქვათ, ლექსი ვერ
მოგიძღვენით,
ნუთუ ამიტომ მტერი ვარ თქვენი?“.

პოეტის ეს ჩვეული სამართლიანი იყო, მაგრამ შესძლო თუ არა მან შემდგომ თავისი დაპირების გამართლება, როდესაც ასეთი ხელისშემშლელი პირობები მოისპო? დიახ, შესძლო, და ისე გულწრფელად და კარგად, როგორც შეჰფეროდა ახალ დროებას და ნამდვილ საბჭოთა პოეტს. ამისი დამამტკიცებელია ი. გრიშაშვილის ახალი ლექსები, რომელთა შორის საგულისხმოა ლექსი, მიძღვნილი დიდი ბელადის სტალინისადმი. ეს ლექსია „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“, ლექსი გამთბარი უდიდესი სიყვარულით იმ ადამიანისადმი

„ვინც გამარჯვებით სამშობლოს
ჰქნიდა
მთელი მსოფლიოს გასაკვირველად...“.

პოეტის სიყვარული ბელადისადმი გამსჭვალულია რწმენით, რომ „გვჯერა: ყოველთვის იქ გავიმარჯვებთ, სადაც შენა ხარ, სადაც შენა ხარ“. აღსანიშნავია აგრეთვე გრიშაშვილის მეორე ლექსი „ჯამბულს“, სადაც ხაზგასმულია ჩვენი ცხოვრების ისეთი მოვლენა, როდესაც ასი წლის მოხუცი ჯამბული სტალინს მამას უწოდებს, ეს მოვლენა მახვილი პოეტური თვალითაა დანახული. ასეთივე სიახლეა ი. გრიშაშვილის იმ შედარებაში, სადაც პოეტის თქმით რუსთაველი ისე დაჰყურებდა მას, როგორც ჩვენი ქვეყნის აღორძინება. („შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“).

„აღარ მესმოდა ხმა გამყივარი,
სიბრძნე, სიუხვე, ლექსის დინება.
ის დამყურებდა, როგორც მყინვარი
და ჩემი ქვეყნის აღორძინება“.

ჩვენი სამშობლოს აღორძინების სინამდვილე ყველაზე მეტად ამეტყველებულია ი. გრიშაშვილის იმ ლექსებში, სადაც იგი ახალი თბილისის განახლებასა და აყვავებას ეხება. ასეთია ლექსი „თბილისი“ და „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე“. მდიდარი პოეტური ფანტაზიით, წარსულის მოგონებითა და საბჭოთა სინამდვილის რეალისტური დაპირდაპირებით პოეტი ხატავს ახალი თბილისის სურათს. ძველი თბილისის ტრუბადური და ქეშიკი პოეტი, როგორც წარსულში უწოდებდა იგი თავის თავს, ი. გრიშაშვილი ახალი თბილისის ნამდვილი ლირიკული ტრუბადურია. ის წარმტაც ჰიმნს უმღერს ჩვენი დედაქალაქის ახალ სახეს და ისე ლამაზად, რომ წარსულის იდეალიზაციის ნატამალიც არ დარჩენია გულში.

„ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგი?
ეს თბილისი—ქართლის გული —
გორგასლანის ქალაქი?
სად წავიდა ვიწრო ქუჩა,
დაგრეხილი როგორც ვაზი,
ფატმას პირი რატომ უჩანს,
სად ჰყავს თავის ასლამაზი?“.

გრიშაშვილის ისეთი ახალი ლექსები, როგორიცაა „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“, „ვეფხისტყაოსანი და ჭიაკოკონა“, „სამშობლოსადმი“, „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე“, „ნარინჯიანი“, „კიროვის ბაღში“, ჩვენი საბჭოთა პოეზიის მიღწევებია.

განახლებულ სამშობლოს ბედნიერებამ ისევ ახალი გზნებით აამღერა ნიჭიერი პოეტი, მისცა მას შესაძლებლობა თავისებური დამახასიათებელი ფერებით გამოეხატა ჩვენი ცხოვრების მოვლენები და პოეტური მინანქრებით მოექედა თავისი ლექსების ძვირფასი სტრიქონები.

ალ. სულავა.

ბალადა რობინ ჰუდისა და გაი გისბორნისა

რობინ ჰუდი ინგლისის გვიანი საშუალო საუკუნეების ლეგენდარული გმირია. ფირალების ბელადი, ჩვენი არსენა ყაჩაღივით ჩაგრულთა მფარველი და მჩაგვრელთა მტერი. მეტად პოპულარული ბალადები მის შესახებ უმთავრესად ეკუთვნიან მე-15 მე-16 საუკუნეებს. რობინ ჰუდის გარდა, ამ ბალადებში გამოყვანილია მისი უახლოესი თანამებრძოლი პატარა ჯონი და ნოტინჰემის შერიფი (საგრაფოს უმაღლესი თანამდებობის პირი), რომელსაც რობინ ჰუდი ებრძვის, როგორც მოსახლეობის შემავიწროებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ტყეს ნამი აბრწყინებს
და ფოთლებია გრძელი,
კარგია ტყეში წანწალი,
სიამოვნების მგვრელი.
შტოებში შაშვი ჭახჭახებს
გახარებული ბუდით
ისე ხმამაღლა, რომ ტყეში
იღვიძებს რობინ ჰუდი.
„ვფიცავ,—წარმოსთქვამს ის ლაღად,—
კარგი მესიზმრა ომი,
ვიხილე ორი მოისრე,
ჩემი დაძლევის მდომი.
მართლაც დამძლიეს, წამართვეს
ეს ჩემი მშვილდი ღამით.
მაშ მე არ ვიყო რობინი,
თუ შევარჩინო რამე“.
პატარა ჯონმა მიუგო:
„სიზმარი არი ქარი,
დღეს რომ დაჰბერავს—გაჰქრება,
ხვალ კი აღარსად არი“.
„ჩქარა, ცოცხალო ბიჭებო,
ჯონ, შენც მზად იყავ მუდამ,
მივდივარ მწვანე ტყეებში,
ის ორი ვნახო უნდა“.
ჩაიცვეს კაპარჭ-ისრები
არ ავიწყდება არვის
და ყველა მწვანე ტყისაკენ
ისრის სასროლად გარბის.
მწვანე ტყეშიაც მოვიდნენ,
ძველი მინდორის გვერდით.
ხედავენ, ხის ქვეშ დამდგარა
სხვა მოისარე ერთი.
[illegible] გვერდზე დაკიდულს
ის ხანჯალსა და მახვილს
და ცხენის ტყავი აცვია
მას უცნაური სახის.
ჯონმა სთქვა: „ჩემო ბატონო,
ხის ქვეშ დაიდე ბინა.
მე მარტო მივალ მოყმესთან,
ვკითხავ, თუ არის ვინა“.
„ვერ მოგიწონებ, ჯონ, მაგას,
მე უკვე მიჰყრობს სევდა,
რომ ხშირად წინ სხვებს ვაგზავნი
და მე დარჩენას ვბედავ.
დღეს კი, იცოდე, მიგიხვდი
მაგ ეშმაკობას მამაცს,
მშვილდი რომ არ გამტეხოდა,
შეგანანებდი ამას“.
გადასწყვიტეს და გაიყვნენ
რობინ ჰუდი და ჯონი.
ჯონი წავიდა ბერნისდელს,
იცის გზები და ფონი.
როცა მოვიდა ბერნისდელს,
მძიმე აღმოხდა ოხვრა:
ნახა, რომ ორ მის ამხანაგს
სიკვდილის ბრჭყალი მოხვდა.
ფეხით გარბოდა სკარლეტი
ქვებსა და კუნძებს შორის,
უკან მისდევდა შერიფი,
დიდი ამალის მყოლი.
ჯონმა სთქვა: „ისარს მივმართავ,
ღმერთმა ნიშანი მომცა,
შერიფისათვის კარგია
ცოტაოდენი მოცდა“.
მაშინვე დასდო ისარი
მშვილდზე ყაჩაღმა გრძელმა,
მაგრამ ჯონს მშვილდი გაუტყდა,
წვრილმა ვერ გასძლო ძელმა.
„რისთვის იზარდე, ავო შტოვ,
რად ამოყავი თავი?
შენგან მე კარგი არ მახსოვს,
მახსოვს მარტოდენ ავი?“
მაგრამ შემთხვევით ნასროლი
არ დაიკარგა უქმად,
გახდა ვილიამ ტრენტელი
გზადაბნეულის ლუკმა
ყოფნა უბედურ ვილიამს
სახლში ერჩივნა, მისას:
არ შეხვედრბოდა ამ დილით
ჯონის გასროლილ ისარს.

ამბობენ, ხუთი ბრძოლაში
უმჯობესია სამზე.
პატარა ჯონიც შერიფმა
შეჰკრა და დასდო ხავსზე.
ვიკმაროთ ჯონის ამბავი.
რას აკეთებდა ჰუდი,
როცა მივიდა შემკულთან
ცხენის ტყავით და კუდით?
გამარჯვება სთქვა რობინმა,
„იცოცხლე!—უთხრა მოყმემც,
მშვილდზე შეგატყე, ისარი
შენს მიზანს უნდა მოხვდეს!“
სთქვა მოისარმა: „ვამი მაქვს
თავისუფლებით სავსე!“
„შენი გამყოლი ვიქნები“ —
ჰუდმა მიუგო ასე.
„მე აქ ერთ ყაჩაღს დავეძებ,
რობინ ჰუდი რომ ჰქვიან,
სადმე შეხვედრა იმისი
ოქროს თასს მირჩევნიან“.
„რობინს შეხვდები მხედარო,
თუ კი წამოხვალ ჩემთან;
მწვანე ტყის პირას ორივემ
ჯერ ვითამაშოთ ერთად,
დავსვათ ნიშანი, სიმარჯვე
ვაჩვენებინოთ თვალებს,
და იქნებ აქაც შემოგვხვდეს
ჩვენ რობინ ჰუდი მალე!“
დასჭრეს ბუჩქები ტყის პირას,
სადაც ჰყვაოდა სვია,
შტოთაგან ჯვრები მოქსოვეს,
დასვეს ნიშანი ღია.
„დაიწყე,—უთხრა რობინმა, —
პირველ შენია ჯერი“.
„ვფიცავ,—მიუგო მეორემ, —
ჯერ შენ და მე კი მერე“.
ჯერ ერთი გოჯი ნიშნამდე
დარჩა რობინის ისარს.
თუმც მარჯვე იყო უცნობი,
ისიც ვერ მისწვდა მიზანს.
მეორე ისრით უცნობმა
ოდნავ გაკაწრა სვია.
ჯვარი იმ ისრით გამსკდარა,
რობინს რომ კვლავ უსვრია.
მოყმემ სთქვა: „ღმერთო გფარვიდეს,
მოისარი ხარ სრული,
ვერც რობინ ჰუდი გაჯობებს,
თუ გაქვს მკლავივით გული“.
„შენი სახელი მითხარი“, —
უთხრა უცნობმა თანაც.
„არა“,—მიუგო რობინმა, —
„შენსას არ მეტყვი სანამ“.
მოყმემ სთქვა: მთის მცხოვრები ვარ,
ჰუდის შეპყრობას ველტვი,
გაი გისბორნი სახელად
დაურქმევიათ ჩემთვის“.
ტყის მცხოვრები ვარ,—სთქვა ჰუდმა,—
მე გიმრავლებდი ურვებს,
თვითონ გახლავარ რობინი,
და შენ მე მეძებ თურმე“.
ყველა უგვაროს შეეძლო
ორთა ომისთვის ცქერა,
ენახა ორი მებრძოლი,
ბნელი მახვილთა ძგერა,
ორი საათი ემზირა
მოისართათვის შორით:
არვინ ჰფიქრობდა გაქცევას
ან შეშინებას ბრძოლით.
მაგრამ წამოჰკრა რობინმა
პატარა ხის კუნძს ფეხი
და გვერდიდანვე დაატყდა
გაი გისბორნის მეხი.
„მიხსენ,—შესძახა რობინმა, —
ღვთის მშობელს თხოვნას გკადრებ.
არავის უნდა ჰმართებდეს
მოკვდეს ვადაზე ადრე“.
შველა შესთხოვა მარიამს
და კვლავ აღივსო ძალით,

გაი გისბორნი დასძლია,
[illegible] ხმალი.
[illegible]
[illegible]
[illegible]
მხოლოდ ღალატი ავი“.
და ირლანდიური ბებუთით
დაუსახიჩრა სახე,
ქალისგან არა ჰმართებდა
შობა მის მცნობელ მნახველს.
უთხრა: „იწექი, სერ გაი,
მოხარულ იყავ ბედის,
ჩემთან ბრძოლისთვის რა გერგოს
ჩემი სამოსის მეტი“.
ჩაიცვა წამოსასხამი
მწვანე ფოთლებზე მწვანე,
თვით ცხენის ტყავი ჩაიცვა
ფაფარ-აშლილი გარედ.
„შენი მშვილდი და საყვირი
გამომადგება თვითონ.
ჩემთა რაზმელთა საძებრად
აწ ბერნისდელში წავალ“.
ჩაჰბერა გაის საყვირსა
და გზას გაუდგა ნელა;
შერიფს, ჯონისკენ გადახრილს,
ესმა საყვირის ჟღერა.
„გესმით,—წარმოსთქვა შერიფმა, —
ღვთის სამართალი მოხდა,
გაის საყვირი გაისმის,
რომ რობინ ჰუდი მოკვდა,
დღის ადრე გაჰღვიძებია
გაი გისბორნის საყვირს“.
თვით მოისარიც მოვიდა
ტყავში გახვეულ სახით.
„გაი, ითხოვე, რაც გინდა,
მე აგისრულებ თვითონ“.
„არ მინდა,—უთხრა რობინმა,—
არავითარი ჯილდო.
მე თვით დავამხე ბატონი,
ახლა დავამხობ მსახურს,
თუ ნებას მომცემ, სხვა ჯილდო
არავითარი არ მსურს“.
„შეშლილო,—უთხრა შერიფმა, —
გეთქვა შეგეძლო მეტი.
რა ესდენ მცირე ითხოვე,
აღარც უარი მეთქმის“.
ჯონს შემოესმა შერიფის
და მისი მხსნელის ხმები,
სთქვა „ზეციერის“ სურვილით
თავისუფალი ვხდები“.
აი ძირს გადმოიხარა
რობინი ჯონის მხსნელი,
მაგრამ შერიფის მცველებმა
ჯონს კვლავ დარიეს ხელი.
„წადით—უბრძანა რობინმა, —
არ დამინახოთ თვალით,
აღსარების დროს ჩამოცლა
არის გარეშეს ვალი“.
მან ირლანდიური ბებუთით
დასჭრა თოკები რიდით,
მერე ჯონს მისცა საჩუქრად
გაი გისბორნის მშვილდი,
ადგა ჯონი და მოზიდა
მშვილდზე ისარი ხელად,
შორით შეხედა შერიფმა,
სცადა გაქცევა ველად.
ნოტინჰემისკენ გარბოდა,
რაც ძალი ჰქონდა იგი
უკან მისდევდა მცველების
შეძრწუნებული რიგი.
თუმც სწრაფი ჰქონდა სირბილი,
მარჯვე სცოდნოდა ხტომა,
ზურგში მიარჭო ისარი
გალაღებულმა ჯონმა.

თარგმნა ინგლისურით
გივი გაჩეჩილაძე

სიმონ ჩიქოვანის ლექსები

გ. ნატროშვილი

სიმონ ჩიქოვანი თანამედროვე საბჭოთა პოეზიის მნიშვნელოვანი ფიგურაა. დაძაბული, დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით, რომლის დასაწყისად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები უნდა მივიჩნიოთ, მან დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში.

„ეს წიგნი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზეო“, — სწერდა ს. ჩიქოვანი თავისი წიგნის „მხოლოდ ლექსები“-ს წინასიტყვაობაში. ეს იყო 1930 წელს. ამ ბრძოლის პროცესში გადადიოდა სიმ. ჩიქოვანი ფუტურიზმის მოდით გატაცებიდან ჭეშმარიტ რეალიზმისაკენ. სიტყვისა და თემის დამორჩილებისათვის ბრძოლის ასპარეზზე იქმნებოდა, ყალიბდებოდა ახალი საბჭოთა პოეზია. პოეზიისა და, საერთოდ, ლიტერატურის აღორძინება ყოველთვის სწორედ ამ ბრძოლებში იფურჩქნება ხოლმე. ეს აღორძინება იწყება მაშინ, როცა მწერლობა ითვისებს წარსულის მემკვიდრეობას არა როგორც მიმბაძველი, არამედ როგორც გამგრძობი, ახალი აზრისა და გრძნობის მესიტყვე. ლიტერატურული გარდატეხა ყოველთვის გამოხატულებაა ახალი ეპოქის დამკვიდრებისა ცხოვრებაში. ყველაზე უფრო დიადმა, ყველაზე უფრო წარმტაცმა ისტორიულმა ეპოქამ — **ლენინ-სტალინის** საუკუნემ ამ მხრივ არნახული აყვავების ნიადაგი შეუქმნა მწერლობას, მისცა რა მას ახალი თემა, გაუხსნა რა მას ახალი მსოფლიო ჰორიზონტები.

პოეზიის აღორძინების ნიშანსვეტი ახლის შეგრძნობაა. ეს სიახლე წლების განმავლობაში ეძებდა სახესა და ფორმას სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში. იყო ამ ძებნაში ბევრი გადახვევა, ბევრი უკანდახევა, ბევრი შეცდომა. ეს ტენდენციები დამთავრდა ლექსით „გამოთხოვება სიყმაწვილესთან“ (1930 წ.). პოეტის შემოქმედებითს ევოლუციაში სოციალისტური რეალიზმის ხაზმა გაიმარჯვა და ამის საუკეთესო ილუსტრაციაა მისი ლექსების უკანასკნელი წიგნი, რომელიც წელს გამოსცა „ფედერაციამ“. ეს წიგნი ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენს პოეზიაში. ეს წიგნი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პოეტი ღრმად და ნათლად ხედავს ქვეყანას, როცა სიცოცხლით სავსე სახეებში გამოჰკვეთავს ცხოვრებას. „პოეზია თვითონ არის სიცოცხლეო“, — ამბობდა ბელინსკი. არც ერთი ეპოქის ხელოვნებას ისე ზუსტად არ შეეფერება ეს დახასიათება, როგორც ჩვენს, საბჭოთა ეპოქას. ჩიქოვანს აქვს ლექსი „მეთევზის სტუმრობა“. აქ არის სწორედ ის სასიცოცხლო შეგრძნობა ცხოვრებისა, რომელიც თვისობრივად ამაღლებს, წინა ეტაპებთან შედარებით, სოციალისტური ოპტიმიზმის პოეზიას. აქ არის გამოხატული სწორედ ის დაურღვეველი კავშირი სოციალისტური ლირიკისა ხალხთან, ურომლისოდაც ეს ლირიკა წყლიდან ამოგდებული თევზივით მოკვდებოდა. ამ ლექსში პოეტი სწერს:

„ჩვენ ვცხოვრობთ მთაში, გადაშლილ
ბარში,
ქარიშხალში და მდინარის გულში,
ჩვენ ვცხოვრობთ ხალხში და ხალხის
ქარში,
სიხარულში და ბუნების სულში.
საგნების სითბოს გრძნობაში ვპოვებთ,
ფერებს და სურნელს—ბუნების ეშხში,
ჩვენ ვეტრფით წყალთან შენ სიახლოვეს
და როგორც ბადე ვირხევით ლექსში.
მშობლის გული და მშრომელის ფერი,
ან მომხიბლავი წვიმა მაისის,
წარმზე დაყრილი წიგნების მტვერი
და სილამაზე მეგრულ დაისის, —
ეს ყოველივე ჭაბუკის გულში
მოგროვდება და მდინარეს ბადებს.
და თუ გაგვისხლტნენ თევზები გუშინ,
დღეს ამოვიღებთ ავსებულ ბადეს“.

ხალხთან სიახლოვე და დაისის სილამაზე, მშრომელთა გულისთქმა და მაისის მომხიბლავი წვიმა, წიგნები და ბუნების ეშხი — ეს რაღაც არათანაზომადი მოვლენებია, მაგრამ სწორედ აქ არის გამოვლინებული პოეტის მხატვრული მსოფლმხედველობა — დაინახოს მთლიანობაში მრავალფერიანი და მრავალხმიანი ქვეყანა, ზღვების, მთების, კახეთის ჰაერის სურნელება, ბუნების ეშხი და სოციალიზმის დიდებული სინამდვილის სილამაზე, რომელიც გაიფურჩქნა და აყვავდა სტალინური მზის ცხოველმყოფელ სხივების ქვეშ. ფლამანდური სიუხვით დაწერილი პეიზაჟები, კახეთის გათქვირებული შემოდგომის სურათები ჩიქოვანის ლექსებში განუყრელია სოციალიზმის სინამდვილისაგან. პოეზიაში მაშინ კი არ იგრძნობა ბუნება, როცა რომელიმე პოეტი შეეცდება მომაბეზრებელი ერთფეროვნებით აგვიწეროს ყველაფერი, — ვრცლად, გამოუკლებლად, პედანტურად, როცა გადაიხატავს ყველა ფერსა და მოძრაობას. ეს შეუძლებელიც არის. მან უნდა აიღოს ერთი სახე, ყველაზე უფრო ტიპიური და ფართოდ დამტევი, ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და ამ სახეთი გააღვიძოს მკითხველის ფანტაზიაში მთელი ბუნება. აპა, მაგალითად, ფრაზა:

„მწუხრში ბილიკი მთებზე მიკრული
როგორც სანთელი დნებოდა მაშინ“

უკვე მთელ საღამოს წარმოგვიდგენს. აქ ეფექტიანობა დამოკიდებულია კარგ არჩევანსა და მაღალ გემოვნებაზე. და სწორედ ამ მხრივ არის აღსანიშნავი ჩიქოვანის პოეზია. პოეტური სმენისა და ფერწერის ოსტატის ხედვის ჰარმონიული შეხმატკბილებით ჩიქოვანი მხატვრულ სიტყვაში, რთულ მხატვრულ კომპლექსში აცოცხლებს და ხელშესახებს ხდის შემოდგომასა და გაზაფხულს, ქართლის მთა-გორებს, „ვაშლის ფერების ფეთქვას“, „მწიფე ხილისა და სუროს სურნელს“, ატმებს, რომელნიც კოლმეურნესთან ერთად მზეს შეჰხარიან, და მთელ ბუნებას.

მაგრამ ეს ფერთა სიუხვე როდია მთავარი ჩიქოვანის ლექსში. თავისი ლექსის მოფიქრებულობით პოეტი უპირისპირდება გულუბრყვილო გამარტივებას და თავისი ლექსი ნაჭედი მონუმენტალობის ხარისხამდე აჰყავს. ამით აღწევს პოეტი ნამდვილ სისადავეს და განუზომლად შორს დგება იმ ტრაფარეტისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში და მდგომარეობს იმაში, რომ დაიწყებენ თუ არა ლაპარაკს გაზაფხულზე და ყვავილებზე, უკვე დიდიხნის წინად თქმულ სახეებსა და მეტაფორებს ვერა სცილდებიან. ამ მხრივ ჩიქოვანს ახასიათებს ხშირად მოულოდნელი სიახლე, რომლის მიზანი ის კი არაა, რომ გაგვაოცოს ამ მოულოდნელობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩიქოვანის პოეტურ წარსულში, არამედ უფრო ახლოდან და ახლებურად გვიჩვენოს საგანი, უფრო ახლოს მიგვიყვანოს მასთან, თუნდაც ერთი უბრალო დეტალი შეაბრუნოს ისე, რომ მთელ სურათს სახე შეუცვალოს.

ეს ფრიად დამახასიათებელია ახალი პოეზიის ფორმირების პროცესისათვის. ს. ჩიქოვანი ცდილობს ლექსის თითოეული სახე, თითოეული ფრაზა აავსოს შინაარსით, თითქოს უნდა აქციოს სიტყვა იმ ბუნების ნაწილად, რომელსაც ის გამოხატავს. ამ მხრივ დამახასიათებელია:

„თქვენში ირხევა პურის თაველი
და ემსგავსება ცოცხალ სტრიქონებს“
(„მესხეთელი მწყემსი“).

ეს ლექსები პოეტისა, თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის სხვა მიღწევებთან ერთად, ნათელი დასაწყისია ახალი აღორძინებისა.

არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიიქციოს ჩიქოვანის მხურვალე გატაცებამ ძველი ქართული ხელოვნების დიდი აღორძინების ეპოქით, ამ ეპოქის ოსტატებით, იმ ხელოვანებით, რომელთა ხელის შეხებისაგან

„მთას წარუშლელი დარტყმია დაღი
და ახელია ოთხასი თვალი“.

პოეტი მიმართავს ვარძიის ოსტატს:

შენ ჩვენთანა ხარ, როგორც გულის თქმა
და გვამაყებს შენი მარჯვენა,
შენმა სვეტებმა, შენმა ჩუქურთმამ
მაღლა აგზია და დაგამშვენა.
მძლავრი ფიქრები ქვაზე აქარგე
ქვაზე დაღვარე სულის ნაღველი,
რადგან სახელი უკვე დაჰკარგე —
ვარძია იყოს შენი სახელი.

უფრო ღრმადაა გაგებული ამ დიდი წარმართების სული და გრძნობა ლექსში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერებს და მხატვრებს ეხება, ოსტატებს, რომელთაც შაირების ჩუქურთმად შეჰქონდათ ხელთნაწერში ბუნება — ფრინველები და ყვავილები, ვეფხვები და ფოთლები:

„თქვენ, ოსტატებო, ღამეს ათევდით,
თან ფართქალებდით მგოსნის ბაღებში,
სწვავდით სანთლებს და შორს აწიდებდით
წიგნად გადაშლილ ქართულ ღამეში“.

აქ გახსნილია მათი უკვდავების საიდუმლოება. თუ შეიძლება ამ გატაცების ერთგვარი პარალელი მოვუძებნოთ, უნდა ითქვას, რომ ეს არის მსგავსი არა რომანტიკოსების გატაცებისა სიძველით და საშუალო საუკუნეებით, არამედ რენესანსის ოსტატების გატაცებისა ანტიური საბერძნეთის და რომის წარმართული და ჯანსაღი კულტურით. წარსულის დიდი ოსტატები, ვინც თავის ოცნებას და გრძნობას ასე დიდებულად ხატავდა ქვის მასალაში, ვინც ჩუქურთმებად და მომაჯადოებელ ლექსებად სთარგმნიდა ბუნების სურათებს, დღეს გაძლიერებული ინტერესის საგნად იქცევიან. ამ მხრივ ფრიად სიმპტომატიურ მოვლენებად უნდა ჩაითვალოს პროზაში კ. გამსახურდიას რაინდული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, დ. შენგელაიას „შემომქმედი“; პოეზიაში ს. ჩიქოვანის „წუნდას ტბა“, „მესხეთელი მწყემსი“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, „ქალაქი წუნდა“, „თეიმურაზ პირველი“, „მიძღვნა ხელთნაწერ ვეფხის-ტყაოსნის ოსტატებისადმი“, გ. ლეონიძის „თბილისის ოსტატები“, „მცხეთის მთებში“, „ძველი პოეტები“, „ვეფხის ტყაოსანს“, „ფორთოხალა“, კ. კალაძის „ხერთვისის თქმულება“, „ფრენოსანთა სამშობლო“, „ნიზამბავრელ მოხუცთან შეხვედრა“ და სხვები. ეს ნაწარმოებები ახალი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ საჭიროა მათზე ყურადღების შეჩერება. ეს ჩვენი ლიტერატურისათვის ახალი ისტორიზმია, გადახედვა წარსულისა მემკვიდრის თვალით. ეს ძველი კულტურა, რომელიც იწრთობოდა ქრისტიანულ ასკეტიზმთან და ცხოვრების სიძულვილთან ბრძოლაში, არქივებისათვის როდი შენდებოდა, იგი ხალხისთვის იქმნებოდა, შთამომავლობისათვის. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფესვები ღრმადაა გადგმული ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან წარსულში, იმ კულტურულ წარსულში, როცა ვარძიის ოსტატების, საუკეთესო პოეტების, მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების მარჯვენა ჰქმნიდა და ქვაზე ჰკვეთავდა, ლექსში გამოსთქვამდა და ხატავდა ხალხის გულისთქმასა და მისწრაფებას. ამ ოსტატებმა დაანათლეს ქართულ კულტურას სულიერი სიმაღლე, განუყრელი ტრფობა ცხოვრებისა და ადამიანისადმი, და ქართულ ხელოვნებაში მთელი ისტორიის მანძილზე მუდამ ირჩეოდა მათი რეალიზმის ხმა, როგორც ერთი მთავარი ხმა იმ ზარის გუგუნში, რომელშიაც ბლომად არის შერეული წმინდა ვერცხლი.

თავის-თავად ცხადია, რომ ეს გატაცება ძველი კულტურით ისე არავინ არ უნდა გაიგოს, თითქოს თანამედროვე ქართველი მწერლები უკვე სრულყოფილი ოსტატობის დონეზე დგანან და უკვე გაუთანაბრდნენ წარსულის ხელოვნებას. აქამდის ჯერ კიდევ არ მივსულვართ. მაგრამ სწრაფვა მისკენ არის და ეს ინტერესი და სწრაფვა ბევრი რამის მანიშნებელი და მაიმედებელია. აქაა ჭეშმარიტი აზრი იმისა, რასაც ჩვენ წარსულის მემკვიდრეობის ათვისებაზე ვლაპარაკობთ.

ამ მცირეოდენი გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი წერილის მთავარ თემას. სიმ. ჩიქოვანის ლექსების ამ წიგნის კიდევ ერთი თავისებურება, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ყველა ლექსების მთლიანობა. ეს ლექსები ისეა დალაგებული, რომ პოეტს მივყევართ საქართველოს ისტორიის გზებზე, მწუხარე წარსულიდან ნათელ და მზიან აწმყომდე. მას მივყევართ წუნდადან და ვარძიიდან ახალი ეპოქისაკენ, გორისა და თბილისისაკენ. აქ არის ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმი. აქ არის ღრმა შეგრძნობა იმისა, როგორ ელოდნენ თაობები ხალხთა განთავისუფლებას, ამ ლექსებში ისმის წარსულისა და აწმყოს ღონიერი სუნთქვა. აქ არის ისტორიის ერთი ეპოქიდან მეორე ეპოქაზე ლოღიკური გადასვლის შემეცნება.

და ბუნებრივია, რომ გორი—სამშობლო ქალაქი დიდი ბელადისა—იქცა ქართველი პოეტების შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ. ლექსი „გორის ციხე“ ამ შთაგონებითაა გაჟღენთილი. ყველაფერზე უფრო საყვარელია პოეტისათვის ეს პატარა, მაგრამ ძველი ქალაქი იმიტომ, რომ აქ გაატარა თავისი ბავშვობის წლები დიდმა ბელადმა. როცა პოეტი სწერს:

„და შენახული გორის ჰაერში
გვესმოდა ბავშვის ხმების წკრიალი“

ჩვენ ვგრძნობთ, თუ რა ღრმად განიცდის იგი ამ დიად თემას, რა ღრმად განიცდის სიყვარულს იმ ისტორიულ ადგილებისადმი, სადაც დიდი ადამიანის აკვანი დაირწა. ამ ლექსში ისმის მძლავრი საბჭოთა პატრიოტიზმი—სიამაყე იმით, რომ შენც ეკუთვნი სტალინის სამშობლოს და შენც უმღერი ამ სამშობლოს ეშხსა და სილამაზეს.

„მდინარის გადაგდებაში“ ჩიქოვანი გვიჩვენებს, როგორ ისხმენ ხორცს დიდი **სტალინის აზრები**, როგორ იქცევიან ყოველ წუთს და ყოველ დღეს ამ დიდი ადამიანის გენიალური ფიქრები ულამაზეს სინამდვილედ. ამ ლექსში პოეტი გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ადამიანები ბელადის მიერ ნაჩვენები გზით მიდიან, არავითარი დაუძლეველი ციხესიმაგრე არ შეიძლება არსებობდეს.

ს. ჩიქოვანი რეალისტი ოსტატის თვალით ხედავს და გამოხატავს ჩვენი სამშობლოს სიუხვესა და მრავალფეროვნებას. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ციკლი ლექსებისა „სამშობლო“ და „შემოდგომის საღამოები კოლხიდაში“. ამ ლექსებში ქვეყნის შემეცნების იგივე ფერებია და გაქანება, იგივე ხმოვანება, ცოცხალი ფორმა და რიტმის მოქნილობა, რაც ლექსების ციკლში „ფიქრნი მტკვრის პირას“. ლექსებში კოლხიდაზე მარტო ახალი მატერიკის დაბადების ტექნიკური პროცესი კი არ არის ასახული, აქ ნაჩვენებია ადამიანური ბედნიერების დაბადებაც, ბედნიერებისა, რომლის მსგავსი არაფერი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას და დასაბამიდან არც ლიტერატურასა ჰქონია როდისმე ასეთი მადლიანი თემა. ეს თემა თავის ტრადიციას საბჭოთა პოეტების ლექსებით, კერძოდ, სიმონ ჩიქოვანის ლექსებით იწყებს. ძლიერი პათოსით გამოხატავს პოეტი განახლებულ ცხოვრებას.

საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრება ერთ-ერთი საყვარელი თემაა პოეტისათვის. „უჩგულის კომკავშირი“-ს (1929 წ.) შემდეგ ჩიქოვანმა ამ თემას კვლავ უძღვნა საუცხოო ლექსები: „სვანეთში გაგზავნილი ბარათი კომკავშირელ ქალისადმი“ და „კომკავშირული“. ამ ლექსებში კვლავ საბჭოთა გმირების დიდების ჰიმნი გვესმის. წრფელი სიხარულით შეჰხარის პოეტი ჩვენი ქვეყნის საუცხოო ახალგაზრდობას და მიმართავს მას:

„მედგრად, მედგრად, ყმაწვილებო,
დიდ ბელადის გაწრთვნილებო,
თვალციმციმა ქალ-ვაჟებო,
დიდ სამშობლოს ვაჟკაცებო“.

ს. ჩიქოვანის პოეტური სტილის მრავალფეროვნება და სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი, იმის გარდა, რომ ყოფის მხატვარია, ამავე დროს ჩვენს პოეზიაში უნაზესი ლირიზმის წარმომადგენელიც არის. სჩანს, პოეტი აქაც კვლავ, წინააღმდეგ თავისი შემოქმედებითი წარსულისა, საკმაოდ გაუტაცნია „ბესიკივით ტკბილ სიმღერას“ და „მოქარგულ რითმის პერანგს“. ბესიკის ლექსის იმიტაციაა ჩიქოვანის ლექსი „მან მინანავა ნელი ნიავი“. გვხვდება ჩიქოვანის პოეზიაში ბარათაშვილისა და აკაკის პოეზიის რემინისცენციები. („ამგვარი იყო გორის საღამო“ და სხვ., „ის ვარდია, მე ფუტკარი, ვიშრიალოთ შინ და გარეთ“). ს. ჩიქოვანის ინტიმური ლირიკა უფრო ფართოა, ვიდრე ლექსების ის ციკლი, რომელიც პოეტს ცალკე გამოუყვია „ლირიული რვეულის“ სახელწოდებით. მისი ლირიული ლექსებიდან გამოირჩევა „ნიკარის საფერფლე“. ძველი თემაა ლირიკაში ბავშვობის მოგონება, ვინ იცის, რამდენი პოეტისათვის ყოფილა ის მომხიბლავ თემად, მაგრამ ჩიქოვანის ლექსში ეს მოტივი კვლავ რაღაც ცოცხლად ისმის.

რა ნაკლოვანებები ემჩნევა ჩიქოვანის ლექსების ამ წიგნს? ჩვენის აზრით, „თქმულება ამირანზე“ სქემატიური და ნაწილობრივ ბნელია. აქ ავტორი ალაგ-ალაგ ვერ იმორჩილებს მასალას და სახეთა გაუგებარ შეხამებას მიმართავს. ზოგიერთ სხვა ლექსში, გაბედულ, ახალ და ორიგინალურ მეტაფორებთან და სახეებთან ერთად, გვხვდება ასეთი სუსტი შედარებანიც:

„შორს იმუშნოდა კავკასიონი
და თეთრდებოდა როგორც თაგორე“

აქ თაგორე ძალათაა მიწებებული. სიჭაღარეში, თმის ფერით, მსოფლიოში ყოველი ბაბუა, განურჩევლად ეროვნებისა, გარეგნულად დიდებულ ინდოელ მწერალსა ჰგავს. განა ეს ჭაღარა თმა მარტო ინდოელი მწერლის გარეგნობის სპეციფიურობაა? ესაა ნაშთი „ხელოვნურობისა“, ნაძალადეობისა, რომელსაც მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც კიდევ ვხვდებით ჩიქოვანის პოეზიაში.

საერთოდ კი ეს წიგნი ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურაში. ეს არის საუცხოო მაჩვენებელი პოეტური კულტურის ამაღლებისა. მასში ჩვენ ვგრძნობთ, როგორ იჟრება პოეზიაში სოციალიზმის დიდებული სინამდვილე თავისი მრავალფეროვნებით, როგორ კრისტალდება ლექსში ახალი ადამიანის დიდებული აზრი და ემოცია. ასეთია სიმონ ჩიქოვანის პოეტური აწმყო, და ამ გზით მის პოეზიას შეუჩერებელი წინსვლის და უფრო დიდი მომავლის პერსპექტივა აქვს.

ეგნატე ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 45 წლის შესრულების გამო)

1894 წლის 12 მაისს გარდაიცვალა მე-19 საუკუნის გამოჩენილი მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რომელიც მახვილად, ყველასათვის გასაგები და მიმზიდველი ფერებით გვიხატავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დამახასიათებელ ტიპებსა და ტიპიურ ხასიათებს და რომელმაც ქართულ ლიტერატურაში შემოიყვანა სრულიად ახალი ადამიანები თავისებური სოციალური განწყობილებებით.

ღარიბი გლეხის შვილი, სიღარიბესა და გაჭირვებაში აღზრდილი ნინოშვილი თავისი მხატვრული აზროვნებით ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. ეგნატე ნინოშვილს არ მიუღია მაღალი განათლება, მისი „უნივერსიტეტი" იყო უთანასწორობაზე აგებული ცხოვრება და ის წრე, რომელშიაც უხდებოდა მას მუშაობა და ყოფნა. ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია საუკეთესო მოთხრობაა იმისა, თუ რევოლუციამდე როგორ მძიმე და აუტანელ პირობებში, როგორი თავგანწირული ბრძოლის გადატანით და რა სიძნელეების გადალახვით უხდებოდათ გამოსვლა ცხოვრებაში და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე მშრომელთა შვილებს, რანაირი დამამცირებელი გაჭირვება უნდა გადაეტანათ მათ, რომ სანახევროდ მაინც მიეღწიათ თავიანთ მისწრაფებისათვის.

ეგ. ნინოშვილი არის მწერალი რომელმაც მოგვცა თავისი დროის უღრმესად რეალისტური მხატვრული სურათები და რომელმაც ყოველი თავისი მხატვრული სიტყვა, სახე, შედარება გაჟღინთა ღრმა სოციალური მოტივებით ტენდენციით. მან უდიდესი მხატვრული ოსტატობით გამოკვეთა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი ორი მოწინააღმდეგი ფენის ტიპები და აგრძნობინა მკითხველს მშრომელი მასის მდგომარეობა და განწყობილება.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება არის მხატვრული ისტორია გურიისა და მთელი საქართველოს გლეხობის ყოფა-ცხოვრებისა მეფის თვითმპყრობელობის ბიუროკრატული რეჟიმის პირობებში და ახალი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში. ეგნ. ნინოშვილის განსაკუთრებული დამსახურება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ის არის, რომ მან წინ წასწია კრიტიკული რეალიზმი და ქართულ პროზაში განამტკიცა ნეკრასოვისა და შევჩენკოს პოეზიის რევოლუციური რეალიზმი.

ეგ. ნინოშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო თავად-აზნაურობის გაკოტრების სწრაფი პროცესი, გლეხობის მკაცრი სილატაკე, ვაჭრობა-მრეწველობის ფეხის ადგმა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მუშათა კლასის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე.

ასეთ ატმოსფერაში ეგ. ნინოშვილის მიერ შექმნილი ტიპები და მხატვრული სურათები გარემო პირობებითა და გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობით უკმაყოფილო მკითხველზე საბრძოლო შთაგონებას ახდენდნენ. მის ნაწარმოებებში მკითხველი ხვდება ცოცხალ, მისთვის ნაცნობ ადამიანებსა და ხასიათებს. ეს გარემოება უადვილებდა მას შეეგნო თავისი ადგილი და როლი სოციალურ ბოროტებასთან ბრძოლაში.

ეგ. ნინოშვილის მხატვრულ ერუდიციასა და შემოქმედებით პოტენციას უნდა მიეწეროს ის, რომ მან მოგვცა ტიპიური გარემოს უაღრესად ტიპიური ხასიათების შემკრები და მრავალფეროვანი ტიპები, რომლებიც ორგანიულად შევიდნენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, განუყრელად დაუკავშირდნენ მას და მრავალი წლების განმავლობაში ინარჩუნებდნენ მხატვრული შთაგონების ძალას.

ნინოშვილს განსაკუთრებით ეხერხება მასობრივი სურათების ხატვა. ამ სურათების საშუალებით მწერალი იძლევა მრავალმილიონიანი მასების მდგომარეობასა და განწყობილებას, მომავალი თაობების წინაშე აცოცხლებს აღებული ეპოქის ისტორიულ ვითარებას.

ეგ. ნინოშვილის, როგორც მწერლის ღირსება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ღრმად აზროვნებს. ყოველი მისი მხატვრული დეტალი ისტორიულად ზუსტია, ყოველმხრივ მოფიქრებული და დასაბუთებული. ნინოშვილის ნაწარმოებებში ყოველ მოვლენას თან მოსდევს მიზეზობრივი მხატვრული ახსნა, მაგრამ ეს ისეა შესრულებული, რომ იგი კი არ ასუსტებს, უფრო აძლიერებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას, მატებს მას დამაჯერებლობას და ემოციური ზემოქმედების ძალას.

ეგ. ნინოშვილი კოლორიტული გურული მწერალი იყო. მან გურია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში შემოიყვანა ისეთივე ძალითა და მნიშვნელობით, როგორც ვაჟამ და ყაზბეგმა მთა. ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ნინოშვილის შემოქმედების საშუალებით შეგვიძლიან ვიგრძნოთ და დავინახოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გურია თავისი კოლორიტული ჩვევებით, რაც მანამდე არც თუ ისე ცნობილი იყო. მაგრამ გურიის ყოფას მწერალი აგვისახავს ისეთ მხატვრულ და ზოგად შტრიხებში, რომ აქ იგრძნობა ის სულიერი ტკივილები, რომლებიც აწუხებდნენ მთელ ჩვენ ხალხს.

ნინოშვილის შემოქმედებაში იმდროინდელ გურიის სოფლის მაგალითზე, გურიის ფონზე ჩვენ ვეცნობით უთანასწორობაზე აგებულ მთელს ძველ წყობილებას, ძველ სოფელს.

ეგ. ნინოშვილის ესთეტიური შეხედულებები ისეთივე უტილიტარულია, როგორც ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, შევჩენკოს და სხვ. მის ხელში მხატვრული სიტყვა არის არა ესთეტიური თვითმიზანი, არამედ კლასობრივი ბრძოლის საშუალება. ამიტომ იგი სინამდვილიდან იღებს და ხატავს ისეთ კონფლიქტებს, წინააღმდეგობებს, რომლებიც მკითხველში საბრძოლო განწყობილებას შექმნიან ან უბიძგებენ ამ განწყობილებისაკენ.

ეგ. ნინოშვილი გვიხატავს ღარიბ-ღატაკი გლეხობის მდგომარეობას მისი დაპირდაპირებით კლასობრივ მტრებთან, კულაკობასთან. კლასთა ბრძოლის თვალსაზრისი უნათებდა ნინოშვილს გზას სოციალური მოვლენების ახსნა-გაშუქების დროს და ბრძოლის შინაგანი ცეცხლით განუწყვეტლივ იწოდა იგი. ეგნატე იყო ღარიბ-ღატაკი გლეხობის სულისკვეთების გამომხატველი და იგი ასეთადვე დარჩა.

ეგნატე, როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანი, პროგრესიული თვალით უყურებდა მომავალს. მას სწამდა, რომ იზრდებოდა ახალი ძალა, რომელიც დაამსხვრევდა გაბატონებულ ურთიერთობას და ახალ ურთიერთობას დაამყარებდა ადამიანებს შორის. ეგნატე მებრძოლი და დაუდეგარი იყო თავის მხატვრულ შემოქმედებაში. მას მოსვენებას არ აძლევდა უსამართლობასა და უთანასწორობაზე აგებული გაბატონებული სისტემა, ის ხედავდა, რომ ფეოდალური ურთიერთობა უნდა შეცვლილიყო კაპიტალიზმის განვითარებით და, რაც მისი პროგრესული აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს, კარგ მერმისს დაჩაგრული მასისათვის არც ამ ახალ ურთიერთობაში ხედავდა.

ეგ. ნინოშვილი მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით უანგაროდ ემსახურებოდა მშრომელი გლეხკაცობის განთავისუფლების საქმეს.

ერ. ასტვაცატუროვი

ვახტანგ მეექვსე

ალ. ბარამიძე

ვახტანგ მეექვსე ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი პიროვნება იყო. იგი სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის მთელ კულტურულ ცხოვრებას, მეთაურობდა ქართულ ისტორიისა და სამართლის დამუშავების საქმეს, მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას, უშუალოდ და ნაყოფიერად მოღვაწეობდა მწერლობის ასპარეზზე. ვახტანგის მეოხებით საქართველოში პირველად ამუშავდა სასტამბო დაზგა. ამ სტამბაში სასულიერო-საეკლესიო წიგნებთან ერთად იბეჭდებოდა საერო ტექსტები და სახელმძღვანელოები. აქედან გამოვიდა „ვეფხის-ტყაოსნის" განთქმული პირველი მეცნიერული გამოცემა, ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია პოემისა.

დაიბადა ვახტანგი 1675 წლის 15 სექტემბერს. განათლება კარგი მიიღო. უფლისწული აღზარდა და გაწაფა ისეთმა ჩინებულმა ოსტატმა - მასწავლებელმა, როგორიც იყო სულხან-საბა ორბელიანი. ვახტანგი საფუძვლიანად დაეუფლა ძველ ქართულ მწერლობას, სასულიეროსაც და საეროსაც („სამღვთოც ვიცოდი, საეროც"), შეისწავლა სპარსული ენა და პოეზია. 1703—1711 წლებში ვახტანგი ქართლს განაგებდა ქართლის მეფის მოადგილის („ჯანიშინის") ტიტულით; სწორედ ამ დროს გააჩაღა მან აღნიშნული დიდი კულტურული მუშაობა.

1712 წელს ვახტანგი სპარსეთს გაიწვიეს. ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში. 1714 წელს „გაათახსირეს" და ქირმანში გადაასახლეს. სპარსეთის მთავრობა ჯანიშინისაგან მოითხოვდა ქრისტიანული სჯულის დაგდებას და მაჰმადიანობის მიღებას. ვახტანგი დიდხანს იდგა უარზე. დახმარებისათვის ფარულად დესპანი (სულხან-საბა ორბელიანი) აფრინა ევროპაში. მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი უფლისწული დაძაბული ლიტერატურული მუშაობით იმსუბუქებდა ბოღმა-ნაღველს: „სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე... თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა"-ო („ქილილა და დამანას" წინასიტყვაობიდან). ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ ერთი ხელნაწერის შემდეგი მოწმობა: „ოდეს ქართლით იხმეს მეფე ვახტანგ ისპანს და მიიწვია წინაშე სპარსთა მეფისა, აწვევდენ მაჰმადისა სჯულის დამტევებლად; და ღვთისმოყვარე მეფე ესე არა ერჩდა რა მძლავრისა მის ბრძანებასა. ამისთვის პატიმრად წარავლინეს ქირმანს, და მუნ მყოფობასა შინა იწყო წერად ესრედ, რათამცა არა შეეპყრო სევდიანობისასა. ესრეთითა წესითა აქარვებდა პირველისა მის დიდებულობისა არა ქონას ნაღვლიანობასა".

ბოლოს, ვახტანგი იძულებული გახდა გარეგნულად მაინც დათანხმებულიყო სპარსეთის შაჰის მოთხოვნაზე. სანაცვლოდ უბოძეს „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა". როგორც ერანის სპასალარი, ვახტანგი კვლავ უცხოეთში რჩებოდა. მხოლოდ 1719 წელს ეღირსა სამშობლოში დაბრუნება. 1721 წელს, პეტრე დიდის მიწვევით, ვახტანგი სპარსეთს განუდგა, სამხედრო კავშირით შეეკრა რუსეთს, მნიშვნელოვანი ჯარით გაეშურა კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ მოკავშირესთან შესაერთებლად... მაგრამ, როგორც ცნობილია, პეტრემ მალე თავი დაანება სპარსეთთან ომს. ვახტანგი მარტოდ - მარტო დარჩა. ქართლის ურჩი ბატონი შაჰმა სამაგალითოდ დასაჯა, აჰყარა ყოველგვარი პატივი და ქართლი კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა. გაჭირვებაში ჩავარდნილმა ვახტანგმა დახმარება ოსმალებს სთხოვა. ხონთქარიც „უფლებამოსილად" ჩაერია საქართველოს საქმეებში. სპარსელები, ოსმალები და ათასი ჯურის სხვა მოძალადენი დაერივნენ საქართველოს მიწა-წყალს და, გურამიშვილის გულის მომკვლელი სიტყვებით, „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრაწლადა".

ვახტანგს საქართველოში აღარ ედგომებოდა. 1724 წელს ვახტანგი დიდის ამალით რუსეთს გარდაიხვეწა. მეფის ამალაში ირიცხებოდა ათას ოთხასამდე ლტოლვილი. ლტოლვილთა მასას შეადგენდა მოწინავე ქართველობა. ბლომად იყვნენ ლტოლვილთა შორის მწერლები, პოეტები, მეცნიერები. ვახტანგს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მხედრობის შემწეობით კვლავ დაბრუნდებოდა საქართველოში. ეს იმედი მალე გაუქარწყლდა. უფრო მეტი, ემიგრანტ მეფეს გარკვევით აგრძნობინეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე გადასვლის საჭიროება. ამ წინადადებამ ისედაც დაურვებული ვახტანგი საბოლოოდ გასტეხა წელში. ელემენტარული თავმოყვარეობის დასაცავად არავითარი ღონე არ შერჩა ოდესღაც დიდად პატივმოყვარე და თავმომწონე ივერთა ბატონს. პროტესტის ნიშნად ვახტანგმა ხელი აიღო პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ქართველობას ანდერძად დაუგდო — სამშობლო ქვეყანას არ ეღალატოთ, გადასახლდა ასტრახანში და იქვე გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს. მხოლოდ გურამიშვილის ლექსმა გამოიტირა ემიგრანტ მეფის ჩუმი სიკვდილი:

„ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს
დაგვექცაო".

ვახტანგი იყო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მწიგნობარი-პოეტი, ბელეტრისტი, კომენტატორ - კრიტიკოსი, მთარგმნელი. უფრო ნაკლებადაა ცნობილი ვახტანგი როგორც პოეტი.

ვახტანგის ლირიული ლექსების უმეტესობა დაწერილია უცხოეთში (ისპაჰანში, ქირმანში, მოსკოვში) ყარიბობისა თუ ემიგრანტობის დროს. მაშინ პოეტი დიდ სულიერ ღელვას განიცდიდა. შეპყრობილი იყო მძაფრი კაეშნით და საოცნებოდ ეხატებოდა „პირველისა მის დიდებულობისა არ ქონა ნაღვლიანობისა". პატივაყრილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული მეფე მთელის სიმწვავით იტანდა მსახვრალი ბედის უკუღმართობას, ხოლო პოეტის გრძნობიერ გულში დაგროვილი ბოღმა-ნაღველი წრფელ ლირიკულ ნაკადად ედინებოდა ლექსებს:

„დამიმონა კაეშანმა, სიმდა მომხვდა
მისთვის წამლად,
ნაღველს ეხმარობ მუდამ მელნად,
გულსა ვაწვევ მისად კალმად".

„აღმართა კაეშანი", — იმეორებს პოეტი სხვაგან და მწარედ მოსთქვამს თავის მიუსაფრობას, მარტოობას, უცხოეთში დაკარგულობის სივაგლახეს:

„დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი
ტომნი, მონაძმენი,
დავკარგულვარ უცხოს თემსა..."

ისპაჰანის სულშემხუთავ ატმოსფეროში პოეტს ნათელ ფერებად წამოეშლება ბრწყინვალე წარსულის მომხიბლავი მოგონებანი:

„პირველ მალხინა სოფელმან შემმაინათ
არე-მარებსა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის
გასახარებსა,
სხვას რას შექცევას, რას შვებას, არ
კაცთა დასახარებსა,
აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ,
ქურუქას სახლსა-სარებსა".

პოეტი გატაცებით და სიყვარულით იგონებს მშობლიური ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს, მის ლამაზ პეიზაჟებს, იქ განცდილი სიხარულისა და განცხრომის დღეებს. „რა სჯობს მაისში ტფილისსა", — პათეტიკურად ამბობს ვახტანგი, — ხოლო „შუას ივლისში თრიალეთს სხვა თემი რამცა ედაროს?" თავისებურად მომხიბლავია „ლილოს თბა", „კოჟორიც თითქმის ერთი რადმე". მშვენიერია შავნაბადა, ფილტვიანი, ქცია გემრიელი ორაგულებით და კალმახებით. საოცნებოა არჩვსა და ირემზე ნადირობა. საუცხოო სანახაია დაგეშილი შევარდნები და გავაზები, აფართხალებული ხოხბები და კაკბები! რა საამო და სახალისოა წყლის წუწვა და თევზთა ჭერა. ნადირობის ტრფიალმა იცის ძალი „სომხითისა შემოდგომაზე", „ზამთარს ყარაია", შემდეგ ისევ ტფილისი, ისევ შვება, ისევ სიხარული.

სამშობლო მხარე ვახტანგს აგონებს წარმტაც გულისწორ სატრფოს (ამ ალეგორიით ვახტანგი აკაკის წინამორბედია), მხურვალე გრძნობიერებით ეტრფიალება პატიმარი მეფე-პოეტი ამ თავის სათაყვანებელ შორეულ იმედს, მაგრამ ვაგლახ, რომ ალერსიანი პასუხის ნაცვლად მხამიან ისარს ღებულობს გულის საგვერემად:

„კეკლუცთ ზედა ხარ ხელმწიფე,
ტრფიალთ ცეცხლს უდებ მალამი,
მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო
მალამი".

პოეტის სპეტაკი სანდომიანი სატრფო ხელთ ჩაუგდიათ მოშურნეებს, შინაგამცემლებს, პოეტს განშორდენ და ვერაგულად უმუხთლეს კიდეც თავისიანებმა, ტოლ-მეგობრებმა, ძველმა თანამშრომლებმა. ყველამ უარყო, ყველამ გასწირა შეჭირვებაში მყოფი სულგრძელი მეფე-პოეტი რჯულმტკიცე და ზნეობა-შეურყეველი:

„ყმაზე წამოხდა წყალობა, ცუდ რაცა
სამსახურები,
ამხანაგზედა სიკეთე, სხვათაგან
შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვსობა, რა ჩემგან
მოსასურები
განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ
ცრემლთა მონაწურები".

ვახტანგი გულწრფელ საყვედურს უთვლის საწუთრო-სოფელს, რომლის გამწირაობას ისე შეეჩვია, რომ აღარც კი უკვირს და თითქო ამიტომ აღარც კი სწუხნავს:

„სოფლის სიმართლე ისეა, რად ვინ
სდევს, მიკვირს, მეფეო!
აწ შენ ამისთვის რათ სწუხარ, უცხოდ
გჩანს ვახტანგ მეფეო".

სოფელს ვამეფებული გაუტანლობა ვახტანგს ძლიერად ალუბეჭდია ერთ თავის შესანიშნავ ელეგიაში — „ვაი სიკვდილო მწარე სიკვდილო".

„რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი
სიკვდილო, მწარე სიკვდილო!"

ჩვენის აზრით, ამ ლექსს უნდა ჩაეგონებინოს დავით გურამიშვილის ცნობილი „გოდება".

„გული ღონდება, ვიწყო გოდება, ვაი
საწუთრო, ცრუო სოფელო!"

პოეტი ზიზღით უცქერის სოფელს და დიდი მწუხარებით ასკვნის: „სოფელი ჩვენი მესისხლე ზღაპარი არის, ყბედია", მაგრამო, — დასძენს მწუხარებით, —„ვჩივი, თუცა არვინ მისმენს, რა ვქნა, თავი მებრალება". კაცის სიცოცხლე, პოეტის აზრით, „რუსთ ზაფხულისებრ მოკლეა"; იგი გაბმული ტანჯვაა, ვაება, ტყვეობა. ჟამთა სიავემ ვახტანგს პირველი სიხარულიც გადაავიწყა და შემზარავად წარმოუდგინა მთელი სიცოცხლე:

„სიყრმითგან ჩემი მწირობა კაცთაგან
მოუგონარი,
რა სიგლახავე, შიმშილი, სიშიშვლე
დასაღონარი..."

ეს კია რომ პოეტი ზოგჯერ საკუთარ [illegible] რის, სიმ[illegible] ლო სიტყვებით გვამცნობს:

[illegible]

„რაც მე შევცი შე[illegible], ისე ხელს
ვისცა ესო?
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, არ თუ სამე
ნარი ესო,
მე აღმოვფხვრავ, სხვას ვის ეს ეძლო
მისთვის რამე ძირსა ესო!"

ვახტანგს საკმაოდ უწერია სატრფიალო მოტივებზედაც. საგულისხმოა, რომ მან შემოიღო და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში ალეგორიულ-მისტიური მიჯნურობის თვალსაზრისი. ვახტანგი ღია, შეუფერავი სახეებით აღწერს და ამკობს ქალის სხეულის მოხდენილობას, გარეგნულ სილამაზეს. ამ მხრით არ ერიდება ზოგიერთ საჩოთირო გამოთქმა-ფიგურალობასაც. პოეტი თავდავიწყებით ევედრება თავის მომხიბლავ სატრფოს, „შაქრისაგან უტკბილესი შენი ეშხი წასვი"-ო. მაგრამ პოეტის ტრფობის საგანია არა რეალური არსება, ქალი, არამედ მისტიური ღვთაება, ღვთისმშობელი, წმინდანები და სხვ. ვახტანგის პოეზიაში კეკლუცი ქალის შნო და ლაზათი სიმბოლურად ასახიერებს ღვთაებრივ სიწმინდეს და სიფაქიზეს, ქალისადმი გატაცებული ლტოლვა კი აღნიშნავს ლტოლვას ღვთაებისადმი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგი ამ შემთხვევაში ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ იერს აძლევს სპარსული პოეზიით კარგად ცნობილ მუსულმანურ-სუფისტურ მისტიკას.

სხვათა შორის ვახტანგმა სცადა ალეგორიულად აეხსნა თვით „ვეფხის-ტყაოსნის" მიჯნურობაც. ვახტანგის აღნიშნულმა თავისებურმა სამიჯნურო თეორიამ ძლიერი გავლენა მოახდინა მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე. დავით გურამიშვილი დიდადაა შთაგონებული ვახტანგის დიდაქტიკითაც. მრავალთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ. დავითის განთქმული აფორიზმი: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების" საცნებით ემთხვევა ვახტანგის სიტყვებს „სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოს ტკბილსა".

ვახტანგი ერთ-ერთი პიონერია ქართული ლექსის რეფორმირების საქმეში. ამ მხრივ ის გაბედულად გაჰყვა თავის მასწავლებლის, სულხან-საბა ორბელიანის გზას და ბევრი რამეც ასწავლა სახელმოხვეჭილ ნოვატორებს — მამუკა ბარათაშვილს და დავით გურამიშვილს. ერთის სიტყვით, ვახტანგს გარკვეული და, ვიტყოდით ჩვენ, საპატიო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თუ ეს საინტერესო პოეტი სათანადოდ არ ყოფილა დაფასებული, ეს უნდა აიხსნას მისი თხზულებების გამოუცემლობით. დღემდის დაბეჭდილია ვახტანგის მხოლოდ ორიოდე ლექსი. ჩვენ დამზადებული გვაქვს გამოსაცემად ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის ერთი მოზრდილი ტომი. ამისი გამოქვეყნება არ იქნება უმნიშვნელო ჩვენი მდიდარი ლიტერატურული წარსულის შესწავლისათვის.

სიკვდილი ბალში

ალ. ჭეიშვილი

ვინდშტრასეზე მოტოციკლის თუხთუხი გაისმა და ამ ხმაურზე მოხუცი ბენიამინ ისე წამოიჭრა ზეზე, თითქოს ცა თავზე ენგრევაო.

— მამი! — შესაზარად დაიწივლა სარეცხით სავსე გობზე დახრილმა სარამ და ორი ნახტომით კარებთან გაჩნდა.

მკერდ-აფუებულმა როზამაც ხელიდან გააგდო უთო და დას გამოუდგა. დირეს მიკრულნი თითქოს ერთ სხეულად ქცეული დები მიშტერებოდნენ მოტოციკლისტს, რომელიც ნელი სვლით მიიწევდა მათკენ. მოხუცი კი წინ წამდგარიყო, ტელეგრაფის ბოძს მიყრდნობოდა თუ მოფარებოდა. მას რატომღაც თვალში მოხვდა მოტოციკლისტის უზომოდ გრძელი, მუხლის თავამდე შებნეულ წაღებში ჩატენილი ფეხები.

„ბრენინგ"! — მჩვალივით გაჰკრა თავში მოხუცს. სამოქალაქო ტანსაცმელშიც შეუცდომლად გამოიცნო ბენიამინმა მოიერიშე რაზმის უფროსი.

მოტოციკლისტის ქცევაში თითქოს არაფერი არ იყო შემაშფოთებელი. გაკერპებული სახით მოჰყავდა მანქანა, მხოლოდ ერთი ენიშნათ ცუდად: მოიერიშე ქუჩის ორივე მხარეზე აბრებს ავლებდა თვალს.

„ებრაულ გვარებს თუ ეძებს" — სუნთქვა შეუკრა საზარმა ფიქრმა მოხუცს, — ზებელშტრასეზე რომ დაარბიეს ებრაელები წინა ღამით, იქაც ხომ გადაცმულმა მოიერიშეებმა ჩამოიარეს მოტოციკლებით".

ამის გაფიქრება და ზედ მათი სახლის წინ მოტოციკლის შეჩერება ერთი იყო, სარამ და როზამ შემოუბრუნებლად დაიხიეს სამრეცხაოში. მოხუცს კი მუხლები მოეკვეთა და ძირს რომ არ დაცემულიყო, უფრო მაგრა მოეჭიდა ბოძს.

მოიერიშემ ქიქისფერი თვალები მიაშტერა აბრას და კარებთან ატუზულმა სარამ და როზამ მასთან ერთად გონების თვალით წაიკითხეს: „თეთრეულის სამრეცხაო, ბენიამინ მერენბლიუმ".

ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. შიშისაგან გაშეშებულთ კი ის საუკუნედ მოეჩვენათ. მოიერიშემ მანქანის პედალს ფეხი დაჰკრა. მოტოციკლი ისევ ათუხთუხდა და მოსწყდა ადგილს. მოხუცს კი კვლავ თვალწინ ედგა ბრენინგის კბენია ცხენივით დაკლირსული, ხენდრო სახე, გაკუთხული ნიკაპი და აბრას მიპყრობილი გაშორეცხილი თვალები.

— მამი! — ისევ გაისმა სარას მავედრებელი მოხმობა.

წელმოწყვეტილი მოხუცი მოსცილდა ბოძს, ლასლასით შევიდა სამრეცხაოში, მოჩვენებული სითამამით ჩაახველა, მაგიდას მიუჯდა და შეწყვეტილი ნუსხის წერას შეუდგა.

„ორი პერანგი, ოთხი საყელო..." — უაზროდ, მანქანის რამ ნაწილივით მიჰყვებოდა მოხუცის ხელი ქაღალდს. მისი ფიქრი კი მოტოციკლს მისდევდა.

გობიდან, რომელზედაც ისევ დახრილიყო ჭანჭურივით პატარა სარა, მოისმოდა თეთრეულის მძაფრი სრესა და აქაფებული წყლის ჩხაპუნი. როზას უთოც საშინლად გახურებულიყო ამ მოულოდნელი პაუზის დროს. დანამული სარეცხი გულმოსული შიშინებდა და ქალის სახეს ორთქლის ბოლქვებში ხვევდა.

სამივენი ცდილობდნენ ენა არ დაეძრათ. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, არ უნდოდათ ერთმანეთისათვის გაემხილათ გულში ჩაწოლილი შიშის ზარი.

მაგრამ მოხუცმა დიდხანს ვერ გაუძლო ამ გამგუდველ დუმილს, ქალიშვილებისაკენ გააპარა თვალი. უთოზე უფრო გავარვარებულიყო როზას სახე, წითელი ლაქებით აფორაჯებოდა ლოყები. წვრილად დახუჭუჭებული თმა ზღარბივით დასდგომოდა თავზე, ისედაც გადმოკარკლული თვალები ახლა თითქოს ფოსოებიდან ამოხტომას ლამობდნენ.

როზამ თვალი მოჰკრა მამის ქურდულ მზერას.

— დავიღუპეთ! — ამოაყოლა მან მძიმე ამოსუნთქვას.

— როზა! — საყვედურნარევი მუდარით მიუბრუნდა სარა დას და მამაზე ანიშნა.

ქალიშვილის ამოგმინვამ მთლად დაურღვია სიმშვიდე მოხუცს. ამის შემდეგ ვერასგზით ვერ დაიწყნარა ხელის კანკალი. მთელის ძალ-ღონით უჭერდა კალმის ტარს თითებს, მაგრამ ამაოდ. ისევ ჩამოწვა ოთახში სულისშხუთავი დუმილი. ჩხაპუნებდა გობში ქაფმორეული წყალი და გამეტებით ეცემოდა უთო მაგიდაზე. ნოემბრის რუხად შეღებილი ცა დაბლა ეშვებოდა, მალე ქუჩა ჩაინთქა მწუხრის ბინდ-ბუნდში. მაგრამ გაისმა გადაბრუნებული შტეპსელის წკაპუნი და მათ ოთახში ანთებული ლამფის ანარეკლი ქუჩაში ჩამოეკიდა. ბენიამინი ახლა თავის მაგიდის ლანდსაც გარეთ, ღამის წყვდიადში გადგმულს ხედავს. გობზე დახრილი სარაც თითქოს ქუჩაში რეცხს თეთრეულს. გეგონებოდათ უცებ კედლები გაირღვა და ყველანი ქუჩაში მოექცნენო. ბენიამინს ტანში გააჟრჟოლა. ამ ქუჩას გაცოფებული მხეცი დაეუფლებია, რომელიც მათ კარიბჭეს უთვალთვალებს, ხელ ყუმბარებს ისვრის ებრაელების ბინებში, არ ინდობს არც მოხუცს, არც ბავშვს. მას შეუძლია განუკითხავად დაარბიოს მათი სამრეცხაო, აწამოს, სული ამოხადოს მოხუც ბენიამინს.

გუშინწინ გრაბენშტრასეზე დაარბიეს ებრაელები. გუშინ ზებელშტრასე აიოხრეს. გრაბენშტრასე მათ ქვემოთ მდებარეობს, ზებელშტრასე კი — ზემოთ. თითქოს აქეთ-იქიდან დაუარეს, ჩიხში მოიმწყვდიესო. ხაფანგში არიან ებრაელები. წუხელ მთელი მათი უბანი შეწრიალებული იყო. არავინ არ იცოდა, საიდან მოვიდოდა, როდის დაატყდებოდა მათ თავს ეს საშინელი ქარტეხილი. დაფრთხალი ლანდებივით დადიოდნენ ადამიანები, ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს რბევის დროს მომხდარ შემზარავ ამბებს.

ახლაც მოხუცის არეულ ფიქრს ხეს და მიწას ედება. ხან ქალაქის ერთ უბანშია, ხან მეორეში. უკან მოსძახის მოხუცთა გოდება, ქალებისა და ბავშვების მოთქმა-წივილი. ბენიამინის აბიძგებული ხელი კი თავისთავად მისდევს ქაღალდს.

სარამ ჩაიდანის ზონარის ჩანგალი შეურთო შტეპსელს და ისევ დაიხარა გობზე, თითქოს ამ გაკერპებულ მუშაობაში სურს თავზე ამართული საშინელების დავიწყება.

წამოდუღებულმა წყალმა შიშინი მორთო, და უცებ ორთქლმა ქარაოცად ისტვინა ჩაიდნის ხუფში დატანებულ სასტვენში. როზა საოცრად შეკრთა, ძლივს შეიმაგრა თავი—კინაღამ იკივლა. რაა დღეს რომ ყველაფერი აფეთებს? უსიტყვოდ მიუსხდნენ მაგიდას, თითქოს საკუთარი ხმისაც ეშინიათო.

O

ღამეა. ქუჩაში მისწყდა ავტოების ზუზუნი. სარა და როზა თეჯირს იქით წვანან. სარას თითქოს მშვიდად სძინავს. როზა კი ცხროიანივით შფოთავს. ზოგჯერ საზარლად წამოიკივლებს ხოლმე ძილში. ალბათ, რბევის კოშმარი მაჯლაჯუნასავით თავზე აწევს. მოხუცის თვალებს კი ძილი არ ეკარება. ლოგინში ჩაწოლილს იობის წიგნი გაუშლია. რა უცნაური ხვეულებით მიდის ადამიანის ფიქრი, სად არ ეძებს ნუგეშს მისი გვემული სული, რით არ უნდა გაიმხნევოს თავი. „ნუ თუ ძალი ჩემი ძალი კლდისა, ანუ ხორცნი ჩემნი არიან რვალისანი", იმეორებს გულში ბენიამინ იობის გოდებას. ცდილობს თავისი ცხოვრება იობის ცხოვრებას შეადაროს. „კაცი ვინმე იყო ქვეყანასა ავსიტისასა..." აბა, რა აქვს საერთო ბენიამინს იობთან? აქლემი სამი ათასი კი არა, ერთიც არ უნახავს თვალით. ან როდის იყო იგი „აზნაური მზისა აღმოსავლისთაგანი". მოხუცი ბენიამინ — მხოლოდ ვიოლინოს სოლისტი დამკვრელია სახელმწიფო ოპერის თეატრში. სულ გამოშტერდა, კი არ არის, იყო, ის ხომ გამოაგდეს ოპერის თეატრიდან მოიერიშეებმა.

ებრაელ დირიჟორებთან და მსახიობებთან ერთად სწორედ იმ დღეს, როცა უნივერსიტეტის წინ წიგნების კოცონი აგიზგიზეს, მაშინ, როცა გოეთეს და შილერის სამშობლოს ეს მძვინვარე მხეცი დაეუფლა: 'Raus mit Juden! — დაიღრიალა ამ მხეცმა, და მოხუცი ბენიამინ კინწისკვრით გამოაგდეს ოპერიდან.

და ეს 'Raus კვალდაკვალ მის დევდა დღემდე და მისდევს ახლაც. როცა ბენიამინ მას აქეთ თვალს ავლებს თავის ცხოვრებას, თითქოს დაბლა-დაბლა ეშვება კიბის საფეხურებზე; ამის შემდეგ ოპერის სოლისტი რესტორანის ესტრადაზე უკრავდა იეგერშტრასეს და ვალდშტრასეს კუთხეში. მაგრამ იქაც შეიჭრა ეს ღმუილით წამოსროლილი 'Raus რომლის გაგონებაზე მოხუცს ტანში აცხროებს და მუხლები ეკვეთება. ყავისფერ ხალათიანებმა ეს რესტორანიც თავის ბუნაგად გაიხადეს და მოხუცი ბენიამინ ისევ ქუჩას მისცეს პირში. და ქუჩაც ხომ ამ მხეცის სათარეშოა „მესამე იმპერიაში". და შემდეგ ეზო-ეზო ხეტიალი წვიმათოვლში სარასთან ერთად. სარაც გამორიცხეს კონსერვატორიიდან. მამა-შვილის დუეტი ვიოლინოთი და ქნარით, მაგრამ აქაც მოსდევთ ეს გამხეცებული ღმუილი. ბენიამინ ვერ ასწრებს ქმანის ერთხელაც არის სიმებზე გასმას, რომ ისევ მოესმის ეს 'Raus და სადმე მესამე სართულიდან მოიერიშე უკან მიაყოლებს ფურთხს ან ჭუჭყიან წყალს...

ყოველგნით შეუკრეს გზა. შემდეგ ბინიდანაც გამოაგდეს ქირის გადაუხდელობისათვის და მერე ვინ? მისმავე თვისტომმა, ბორუხ ნათანზონმა. წყალსაც წაუღია მაგისთანა თვისტომი! მდიდრების თვისტომი და მოყვასი ოქროთი გატენილი ქისაა, ხოლო მათი სამშობლო ბირჟა.

შემდეგ აქ საძაგელ, ნესტიან ბინას შეეხიზნა, სამრეცხაო მოაწყეს საკუთარი ძალებით. „თეთრეულის სამრეცხაო. ბენიამინ მერენბლიუმ".

ხვალ იქნებ ესეც თავზე დაანგრიონ და თითოსაც გაუკითხავად გასრისონ ნანგრევებში.

ამ ფიქრზე წინასწარ იკუნტება, სისხლი ეყინება ძარღვებში. არა, ბენიამინმა არ უნდა იფიქროს მაზე, უნდა როგორმე დაივიწყოს. ახლა სხვა არაფერი არ უნდა, ოღონდ ძილი მოვიდოდეს და მის გვემულ სულს მალამოდ დაედებოდეს, თორემ ამ ღამეს ვერ გაუძლებს, გულის ფრიალი გადაიტანს.

რა მოჰგვრის ძილს? ბენიამინ ყველა საშუალებას მიმართავს, რაც ძილის მომგვრელად სმენია ოდესმე... ათასამდის უნდა დაითვალოს, ოცოცობით ითვლის, გაოგნებულად ცმაცუნობენ მისი გამშრალი ტუჩები. უკვე აერია ანგარიში, სამას ორმოცი დაითვალა თუ სამას სამოცი. უცებ დამფრთხალი შეხტა. გუ-გუ-გუ! გაისმა ღამის მდუმარებაში ერთი, ორი, სამი.

...სამჯერ გამოხტა გუგული შვარცვალდის ხარატოვანი საათიდან. წინად მუდამ ართობდა გუგულის გამოხტომა საათიდან, ახლა კი როგორ შეაკრთო. გულისცემა ვერ დაუწყნარებია. საბანი წაიხურა თავზე, თვალები დახუჭა. ცდილობს ფიქრთა დინა შეაჩეროს, დაიკარგა სადღაც კედლის საათის ტიკტიკი, დრო რომ ჰკეპავს. რული მოედო წამწამებს.

ისევ გამოხტა შვარცვალდის საათიდან გუგული.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... რა დაუსრულებლად გრძელდება ღამე! კიდევ რამდენი ხანია გათენებამდე?

O

ნოემბრის დილის უღიმღამო შუქი ოთახში შეიჭრა. სამივე ისევ უსიტყვოდ მივარდა სამუშაოს. აღარაფერზე არ უნდათ იფიქრონ. თვალის უპეები ყველას ამოშავებული აქვს. რა სიმწრის ღამე გაატიარეს...

მიუჯდა საწერ მაგიდას ბენიამინ. მაგრამ როგორც კი მოავლო კალმისტარს ხელი, მაშინვე იგრძნო, რაოგად გასტეხა წუხანდელმა ღამემ. რამდენი ძალა სჭირდება დღეს ყოველი სიტყვის გამოყვანაზე. გული ხან მილეულად სცემს, ხან კი ისე აფართხალდება, როგორც ჩიტი ბავშვის ხელში. სუნთქვა ეკვრის, სული ეხუთება, სარკმელი გამოაღო, მაინც არა ყოფნის ჰაერი. პირში რაღაც ბოლის გემოს გრძნობს.

რა იღონოს?

ფხვნილი! გაუელვა თავში. იქნებ ფხვნილმა შეუჩეროს სულის ხუთვა. მოჩვენებული დამშვიდებით წამოდგა და კარადის უჯრა გამოაღო. აფორიაქებული აფათურებს ხელებს. სად ჩაიკარგა ის წყეული!? აი რეცეპტის ნაგლეჯი, ფხვნილი კი არსადა ჩანს, ნუ თუ გათავდა? ახლა სულისხუთვამაც უმატა. უთუოდ უნდა მოიტანოს ფხვნილი, თორემ დღევანდელ დღეს ვერ აიტანს.

— ცოტა ხანს სუფთა ჰაერზე გავილი, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და კარი გამოაღო.

შემკრთალმა მიმოიხედა, ქუჩას ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, არაფერი არ ამჟღავნებდა, რომ საფრთხე ასე მოახლოვებული იყო.

სანახევროდ ფოთლებდაყრილ ცაცხვის ხეებზე მხიარულად ჟივჟივებენ ბეღურები. ჰოფმანის თამბაქოს დუქანში, როგორც ბაზმაკში, უქრობი ცეცხლი ანთია. სახე ჩაყვითლებული ჰოფმანი დახლს გადმოყრდნობია.

პაპენჰაიმერის საპარიკმახეროში მუშტარი ჯერ არა ჩანს. ბეცი შეგირდი გულმოდგინედ უხეშებს წანეკენს თმას.

თითქოს ყველგან ჩვეულებრივი სადილაო ფუსფუსია. ბენიამინი გამოცოცხლდა, ჩვეულებრივი ღიმი ჩაუდგა წვრილ, თაფლისფერ თვალებში, მხრებში გაიმართა. თითქოს სულის ხუთვამაც უკლო. ახლა უნდა ვისმე გამოესაუბროს. ვინდშტრასე გაიარა კიდეც.

ქუჩის მოსახვევში ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილი მუშა პნევმატიური ბურღით ასფალტს ჰყრის. გააფებული ნაგაზივით იღრინება ბურღი. ქვემოთ კი ხის ნიჩბებით და არნადებით შეიარაღებული მუშები საბარგულიდან ახლად ჩამოყრილ ცხელ ასფალტს შლიან. ესეც კარგად ენიშნა ბენიამინს. დღეს ვინდშტრასეზე რბევა რომ იყოს მოსალოდნელი, აქ ქუჩის შეკეთებას არ დაიწყებდნენ. ბურღზე დახრილ მუშას მიესალმა, თუმცა სრულიად უცნობი იყო. ბერგშტრასეზე შეუხვია. შუშაბანდებში გამოკრულ გალექსილ რეკლამებს ათვალიერებს.

აი შულცის აფთიაქიც. ბენიამინმა უდარდელი ღიმილი გამოიხატა სახეზე და ისე შეაღო კარი. მოხურვისას წკრიალით დარეკა კარმა, ესეც ჩვეული და ძველებურია. ჰორფლიანმა ფარმაცევტმა თავაზის ნიშნად მარცხნით გადახარა გრძელ და წვრილ კისერზე წამოცმული თავი.

— რა ნებავს ბატონ მერენბლიუმს?

ბენიამინმა რეცეპტი გაუწოდა და განიერ ტყავის სავარძელში ჩაჯდა. სავარძლის საზურგეს მიესვენა. ახლა იგრძნო დაღლილობა უძილო, შფოთვაში გატარებულ ღამისაგან. უკანა ოთახში ფარმაცევტი რაღაცას ლესავს, ბენიამინისათვის ფხვნილს ამზადებს, ალბათ. როგორღაც გულზე მოეშვა ამ ფიქრისაგან. მაშ კიდევ არიან ქვეყანაზე კეთილი ადამიანები, რომელნიც ბენიამინისათვის ზრუნავენ.

შენიშნა, რომ მძიმე ფარდასავით დაეშვა ქუთუთოები, ახლა მოეკიდა რული, რომელსაც მთელ ღამეს ამაოდ უხმობდა, მაგრამ ამ დროს ქუჩაში ყიჟინით ჩაიქროლა ველოსიპედისტების ჯგუფმა და მოხუცი ბენიამინ დაკოდილი ფრინველივით შეხტა:

„თუ გამოდადრავ ყელს ერთ [illegible],
ნუ ჩათვლი, რომ დღე დაკარგულია".-

(დასასრული მე-4 გვ.)

„ბაყათარის ხმალი"

(პ. კაკაბაძის ახალი პიესის გამო)

მწერალმა პოლიკარპე კაკაბაძემ დასწერა ისტორიული კომედია „ბაყათარის ხმალი". როგორც ქართული საბჭოთა დრამატურგიის შესანიშნავ მიღწევას, ქართველი მწერლები ამ პიესას განსაკუთრებული ინტერესით და კმაყოფილებით შეხვდნენ. ეს კომედია წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებს ავტორის პიესებს შორის.

„ბაყათარის ხმალ"-ში ავტორს აღებული აქვს საქართველოში მონღოლთა ბატონობის (მე-15 საუკ.) პერიოდი. პიესაში განსახიერებულია ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. ამ ფონზე ავტორი გვიჩვენებს ინტრიგას ზოგიერთი პირებისა, რომელნიც ამ ბრძოლის დროს მოქმედებენ ხალხისა და მისი ნამდვილი გმირის სახელით. ხალხი კი პიესაში მონაწილეობს როგორც ფარული ძალა, რომელიც ბოლოს აგვირგვინებს თავის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ნამდვილი გმირის, ბაყათარის, შემწეობით. ეს ნათელი ხდება პიესის ფინალში, სადაც გამოდის თვითონ გამარჯვებული ხალხი. პიესა არსებითად ნამდვილი გმირობის აპოლოგიაა.

რეალისტური დამაჯერებლობითა და სისრულით აქვს ავტორს გამოყვანილი ნიღაბები ქოსატყუილასი, მუსუსელასი, ნაცარქექიასი და ბრძენ როსტომისა. ავტორს არსად არა ღალატობს მხატვრული ტაქტი ამ გმირების შინაგანი და გარეგანი გამოსახვის დროს.

პიესის ენას ხალხური სისადავე ახასიათებს, მაგრამ არსად არ სტოვებს იგი იაფი უბრალოების შთაბეჭდილებას. ეპიტეტების, სახეებისა და შედარებების ქსოვილი ავტორს დიდი სიფაქიზით აქვს დამუშავებული. ყველაფერი ეს პიესის მაღალ ლიტერატურულ ღირსებებზე ლაპარაკობს.

ცალკე უნდა აღინიშნოს პიესის იშვიათი სცენიური ხასიათი. თითოეული მოქმედება შინაგანი კანონზომიერებით გამართულ სიტუაციებში იშლება და თანდათანობით ვითარდება. ინტრიგის კომიკური ხლართი განსაკუთრებით გამძაფრებულია მეოთხე მოქმედებაში, რომელიც სავსეა მოულოდნელი გადასვლებით ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ამ მხრივაც „ბაყათარის ხმალი" სანიმუშო ნაწარმოებია.

ქართული დრამატიული თეატრების წინაშე სდგას საპატიო ამოცანა —„ბაყათარის ხმლის" სწორი ინტერპრეტაცია და მისი სცენიური განსახიერება. დარწმუნებული ვართ, ამ ამოცანას კარგად გადასჭრიან ჩვენი თეატრები და ქართველ საზოგადოებას აჩვენებენ საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო მიღწევას.

სერგო კლდიაშვილი, ვიქტ. გაბესკირია, ვ. წულუკიძე, აკ. გაწერელია, დიმ. ბენაშვილი, გ. ნატროშვილი, ლეო ესაკია.

ახალი წიგნები

პიესა სერგო ორჯონიკიძეზე

დრამატურგმა გრიგოლ ბერძენიშვილმა დასწერა პიესა „სერგო ჭაბუკობისას". პიესაში ასახულია ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლები. პიესას სდგამს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

კარლო კალაძის რჩეული ლექსები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა კარლო კალაძის რჩეული ლექსების წიგნი.

წიგნი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: „სამშობლოსადმი", „ხერთვისის განთიადები", „ზღვის პირად", „მხედრული". სულ წიგნში მოთავსებულია 25 ლექსი. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 80 გვერდს და ღირს 5 მან. და 60 კაპ.

შატობრიანის თხზულებები ქართულად

გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა ფრანსუა რენე შატობრიანის „რენე" და „აბენსერაჟი". თხზულებები თარგმნილია ფრანგულიდან იროდიონ ქავჟარაძის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს გერონტი ქიქოძის წერილი ფ. შატობრიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წიგნი შეიცავს 176 გვერდს და ღირს 4 მანეთად.

„ჯანყი გურიაში"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ჯანყი გურიაში". წიგნი შეიცავს 134 გვერდს და ღირს 3 მანეთად.

გამომცემლობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კორექტურას. ამ წიგნს დართული აქვს „მთავარ შეცდომათა გასწორება", რომლიდანაც ირკვევა, რომ წიგნში 33 მთავარი შეცდომაა.



„აბასთუმანი" (მოძრავი გამოფენიდან). ნახ. ორდენოსან მხატვრის ელენე ახვლედიანისა.

ქართული საბავშვო ჟურნალები

ამ რამდენიმე დღის წინათ მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ მოიწვია თათბირი ქართული საბავშვო ჟურნალების „ოქტომბრელის" და „პიონერის" გასული და მიმდინარე წლის ნომრების განსახილველად. მოხსენება, რომელიც ამ ჟურნალების საფუძვლიან შესწავლას ემყარებოდა, წაიკითხა ამხ. **ბ. ჟღენტმა.**

მომხსენებლის აზრით წინა წლებთან შედარებით ორივე ჟურნალს საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა, როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნული გაფორმების მხრივ. ორ ჟურნალს მკითხველი შეჰყავს ჩვენი დიდი სამშობლოს პოლიტიკურ-სამეურნეო და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრების კურსში, ერთიც და მეორეც დროზე ეხმაურება მნიშვნელოვან მოვლენებს და თარიღებს. ჟურნალების ყურადღების ცენტრში სდგას ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის და ყოფა-ცხოვრების საკითხები. როგორც მხატვრული ისე მეცნიერული მასალა, რომელიც ჟურნალებში იბეჭდება, გამიზნულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ჩვენი ბავშვების აღზრდას სოციალიზმის შეგნებულ მოქალაქეებად, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად. ამ მიზნით რედაქციებს, გარდა იმ ავტორებისა, რომლებიც იმთავითვე ენერგიულად თანამშრომლობენ ჟურნალებში (ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშაშვილი, ილ. სიხარულიძე, მარიჯანი, გ. კაჭახიძე, ცქვიტი, რ. ქორქია, ირ. აბაშიძე და სხვ.), თანამშრომლებად მიუწვევია შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი, ალ. აბაშელი, კონსტ. გამსახურდია, პ. ჩხიკვაძე, ვრ. ცეცხლაძე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. გრიშაშვილის ნაყოფიერი თანამშრომლობა გასულ წელს. რედაქციებს გამოჰყავთ ახალი ძალებიც, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებიან ამ ჟურნალების ფურცლებზე და მკითხველის ყურადღებასაც იქცევენ.

აღინიშნა რა ასეთი წინსვლა ორივე ჟურნალისა, მომხსენებელი შეჩერდა მათ სუსტ მხარეებზედაც. არც ერთი მათგანი არ არის იმდენად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ჟურნალები უფრო მეტ ადგილს უნდა უთმობდნენ დამაინტერესებლად შედგენილ და ხალისით წასაკითხავ წერილებს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან და სხვ. „პიონერში" მოთავსებული მხატვრული ნაწერები და მეცნიერული ნარკვევები მეტწილად ძალზე გაუბრალოებული და გამარტივებულია, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ისინი უფრო გასაგები და მისაწვდომი იყოს მკითხველებისათვის, მაგრამ ეს ღონისძიება მიზანშეწონილი არ არის, რადგან იმ ასაკის ბავშვები, რომელთათვის დანიშნულია ჟურნალი „პიონერი", უკვე ჰკითხულობენ და სკოლაშიდაც სწავლობენ ქართველი, რუსი და ევროპელი კლასიკოსების ისეთ ნაწარმოებებს, სადაც ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრება მთელი მისი რთული წინააღმდეგობებით და დასმულია დიდი პრობლემები. „პიონერი"-ს მკითხველთა განვითარების დონე იმ სიმაღლეზე დგას, რომ მათი გონება მიიღებს და ადვილად შეითვისებს უფრო რთულ მხატვრულ და მეცნიერულ ნაწერებსო. სწორედ იმიტომ, რომ „პიონერს" არ აქვს ასეთი განხრა ენობრივი და შინაარსობრივი სიღრმისა და სერიოზულობისაკენ, იგი დიდად არ განსხვავდება ჟურნალ „ოქტომბრელი"-საგან, რომელიც დაახლოებით ასეთივე ხასიათის მასალებს ათავსებს. „პიონერის" რედაქციას მართებს იზრუნოს თავისი სპეციფიურობისათვის. შეეხო რა ორივე ჟურნალის მხატვრულ პროზას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჟურნალებში მოთავსებული მოთხრობები მეტ წილად მოკლებული არიან დამაინტერესებელ ფაბულას და თავისი სიუჟეტური აღნაგობით ნარკვევებს მოგვაგონებენო. რედაქციებმა ამ ნაკლის გამოსწორებაზედაც უნდა გაამახვილონ თავის იმ თანამშრომელთა ყურადღება, რომლებიც პროზის დარგში მუშაობენ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ლ. ჭიჭინაძემ, ნ. ნაკაშიძემ, ი. სიხარულიძემ და სხვებმა გაიზიარეს მომხსენებლის კრიტიკული შენიშვნები. ამხ. ნ. ნაკაშიძეს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ორივე ჟურნალს რედაქტორობდეს ერთი კოლეგია, რომლისთვისაც უფრო ადვილი იქნება შეარჩიოს რედაქციაში შესულ წერილებიდან შესაფერი მასალა ცალკე თვითეული ჟურნალისათვის და ამგვარად მისცეს თვითეულ მათგანს სპეციფიური ხასიათი.

ბიბლიოგრაფია

„ახალი მოთხრობები"

აკაკი ბელიაშვილის ნაწარმოებთა უკანასკნელი კრებული („ფედერაციის" გამოცემა), რომელშიც თხუთმეტი მოთხრობაა მოთავსებული, ყურადღებას იქცევს თემატიური მრავალფეროვანებით და მხატვრული დამაჯერებლობით. ეს კრებული მწერლის მომწიფებასა და ზრდაზე ლაპარაკობს. ავტორი გაბედულად სწერს საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, ქალაქზე, წითელ არმიაზე, ტურისტებზე, გეოლოგებზე და სხვ.

ახალ მოთხრობებში თავისი მოცულობით ყველაზე დიდია და სხვებთან შედარებით საინტერესოდაა დაწერილი „ახალგაზრდები". ეს მოთხრობა გადმოგვცემს საბჭოთა გეოლოგების დაუცხრომელ მუშაობას ახალი მადნის — ვოლფრამის აღმოჩენისათვის. როგორც ჰხედავთ, თემა საინტერესოა. ნაწარმოები სიუჟეტურად კარგად ვითარდება, მაგრამ ცალკეულ ადამიანთა განწყობილებები, ხასიათები და შინაგანი ბუნება ერთმანეთისაგან არ არის განსხვავებული. ტიპები ძალზე ერთფეროვანია. მართალია, ყველას ერთი მიზანი აქვს — როგორმე მადანი აღმოაჩინოს, მაგრამ არ შეიძლება მოთხრობის ყველა გმირი ერთნაირად ლაპარაკობდეს და ყველას ერთნაირი ხასიათი ჰქონდეს. ავტორს მოთხრობაში დადებით გმირად ჰყავს წარმოდგენილი პროფესორი ზაალ გარსევანიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს ექსპედიციას, აღმოაჩენს მადანს და გამარჯვებული დაბრუნდება თბილისში. ეს კაცი დიდი ენტუზიასტია, მაგრამ ავტორი მას სათანადოთ ვერ გვიხატავს. „მოუსვენარი და ცოტა აბნეული",—ასე გვაცნობს ზაალს ავტორი და შემდეგ კი აი როგორ ალაპარაკებს მას. ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ ოსიკომ დაიგვიანა. როდესაც მატარებელი დიდუბეს გასცდა, ზაალმა, ოსიკო რომ ვერსად ნახა,თავის თანამგზავრებს მიჰმართა:

„— სმენა!

ბიჭებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და ზაალს უპასუხეს:

— არის, ბიძია ზაალ!

— გაშალეთ თქვენი აზროვნების ლექსიკონი!

— გავშალეთ,—ღიმილით უპასუხა ტიტიკომ.

— ამოშალეთ იქიდან სახელი „ოსიკო"! გაიგეთ?

— გვარით?—ჰკითხა გოგიმ.

— გვარით და მამის სახელით. ამოშალეთ? ძალიან კარგი. დახურეთ თქვენი ლექსიკონები. ჩემთან არავინ გაბედოს იმის სახელის ხსენება".

ეს არ არის ბუნებრივი დიალოგი. ცოცხალი ადამიანები ასე პლაკატურად როდი ლაპარაკობენ.

ავტორს ამ მოთხრობაში შედარებით კარგად აქვს დახატული ოსიკო და მერი. ამ ცოცხალ და ენტუზიასტ ახალგაზრდების მოქმედებას მთელი ნაწარმოების მანძილზე ავტორი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვირდგენს და ამიტომაა, რომ მკითხველს სჯერა მათი. მოთხრობაში არის განმეორებები, რაც ამძიმებს ნაწარმოებს.

აკ. ბელიაშვილი თავის ახალი მოთხრობების წიგნში გვიხატავს კოლმეურნე გლეხობას. მათს შეძლებულ და ბედნიერ ცხოვრებაში მწერალს ღრმად ჩაუხედია და ამ თემაზე მრავალი კარგი მოთხრობა დაუწერია. პირველ მოთხრობაში—„ციალაში" ძველი და ახალი ცხოვრება თითქოს ერთი კალმის მოსმით, მაგრამ მაინც საინტერესოდაა ნაჩვენები. ღარიბი გლეხი ფარსადანი შეპყრობილი იყო ცხოვრების შიშით. „ორი მტკაველი სახნავი ადგილისათვის მუდამ ჩხუბობდა". სიღარიბესთან გასამკლავებლად იგი ვაჟიშვილს ნატრობდა, მაგრამ მეათე ქალიშვილის შეძენამ სულ დაუკარგა მომავლის იმედი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა ფარსადანის ცხოვრება. იგი შევიდა კოლმეურნეობაში და „ქალიშვილები არ გამოადგნენ თუ? თითოს ორას-ორასი შრომა დღე აქვთ, სულ უკანასკნელი, ყოველ წელიწადს გამომუშავებული. ახალი სახლი სწორედ იმ გოგოებმა ააშენებინეს".

მეორე მოთხრობა „სიხარულის" ჩვენი სოციალისტური სოფლის ცხოვრებას ეხება. იქ ნაჩვენებია გამრჯე გლეხის [illegible] მუშაობა კოლმეურნეობაში და მასთან დაპირისპირებულია მისივე შვილი თედო, რომელსაც ხელის განძრევა ეზარებოდა. თედო ზარმაცი და უქნარა იყო, მაგრამ წითელ არმიაში, სადაც იგი გაიწვიეს, მან მშვენიერი სკოლა გაიარა, შეისწავლა ტრაქტორის მართვა. სოფელში ზარმაცად ცნობილი თედო ჯარიდან ტრაქტორისტად დაბრუნდა და მოწინავე კოლმეურნეებს გვერდში ამოუდგა. მამამ შეიცვალა შვილზე აზრი და შეიყვარა თავისავით მშრომელი თედო. ამ მოთხრობაში ავტორს მხატვრული დამაჯერებლობით აქვს მოცემული პატიოსანი შრომა, რომელიც ღირსებისა და გმირობის საქმეა. აკ. ბელიაშვილს ეხერხება მშრომელი კოლმეურნე გლეხების, როგორც ჩვენი სოფლის მოწინავე ადამიანების, სულიერი განწყობილების გადმოცემა.

ახალ მოთხრობებში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი იუმორისტული ჟანრის ნაწარმოებებს. „ანაფორა", „წუწკი", „კალისტრატეს გასაჭირი", „უცნობი" და „გზა აბნეული" ცხადჰყოფენ, რომ აკ. ბელიაშვილს შესწევს მხატვრული შესაძლებლობა ასახოს საზოგადოებრივად ზედმეტი და გასაკიცხი ადამიანები, დასცინოს მათ და სააშკარაოზე გამოიტანოს. აი ცოლების გამოცვლაში დახელოვნებული ტიტიკო, უქნარა კალისტო კაპიტივაძე, რომელიც საწარმოში ხელფასის მისაღებად თუ შეივლის მხოლოდ. კუდაბზიკა კლემენტი ჰანტურია, გამფლანგველი კირილე და სხვები. ადამიანთა მთელი ეს ფენა მწერალს საკმაოდ დამაჯერებლად აქვს დახატული და გამათრახებული.

„ამბავი რუსთაველისა" და „ზღაპარი სინამდვილისა" ეხება ჩვენს შორეულ წარსულს. ეს მოთხრობები დაწერილია შოთა რუსთაველის საიუბილეოდ.

პირსისხლიანი მენშევიკების დაცემისა და განადგურების პერიოდის საინტერესო ეპიზოდს გადმოგვცემს მოთხრობა „ბეჭედი". მენშევიკური მთავრობა დაეცა. გასაქცევად მომზადებული მთავრობის წევრები ჩასხდნენ მატარებელში, მაგრამ უცებ შტაბის უფროსს მოაგონდა, რომ შტაბში ბეჭედი დარჩენია, რომლის მოსატანად გვარდიელს ჰგზავნის. ეს მომენტი ავტორს მოხერხებულად და ოსტატურად აქვს გამოყენებული და მენშევიკების შტაბის გაიძვერა უფროსის ჩამოყალიბებულ სახეს ჰქმნის.

„ტურისტი მთაში" არ არის ჯანსაღი განწყობილების მოთხრობა. ხევსურეთის ისე ეგზოტიურად წარმოდგენა, როგორც ეს ბელიაშვილს აქვს, მწერალს არ ჩაეთვლება მიღწევად, რადგან ეს ძალზე გაცვეთილი მხატვრული ხერხია. ამ მიდგომით ბევრი ტყუილი და მართალი დაუწერიათ. რა საჭირო იყო ამ დავიწყებული ამბის გახსენება.

ენის მხრივ ა. ბელიაშვილს ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ ხელოვნურად შეკოწიწებულ გამოთქმებსა და შედარებებზე კი უნდა შევჩერდეთ. მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი. „სიყვარულის დრეიფი", „ვინ გახსნა კირილეს გულში მოდრეიფე სადგური", „მშვენიერმა ქალმა გახსნა ბაგეთა კონტოკორენტი, ანგარიშვალდებულ პირივით სახედ ილო უმანკო ღიმილი და აჟურის ხმით მოახსენა". მაგრამ ასეთი გამოთქმების გვერდით ა. ბელიაშვილს აქვს მოხდენილი სახეებიც. „იუსტინეს ულვაშები შეუხტა და თვალები ჰიქასავით გაუცივდა", ანდა „ფანჯარაში ხეს შემოეყო თავი, მისი ფოთლები ჰორიკანებივით ჩურჩულებდნენ".

ა. ბელიაშვილის მოთხრობათა ეს კრებული ცხადჰყოფს მწერლის ზრდას, მის ლიტერატურულ დავაჟკაცებას.

კლ. გოგიავა.

სიკვდილი ბაღში

(დასასრული)

დაშნასავით ჰკვეთს ჰაერს ჯლავილით წარმოთქმული სიმღერა.

მოხუცს თითქოს რაღაც ჩასწყდა გულის არეში, ვეღარც განძრეულა, თითქოს კუნთები დააჭრესო, ლურსმანივით ჩაეჭედა ტვინში ეს რბევისა და ჟლეტისკენ მომხმობი სიტყვები. „თუ გამოლადრავ ყელს ერთ ურიას"... ეჩვენება, რომ დანა უკვე გაეჩხირა ყელში. ყურებს კვლავ გუგუნი გაუდის, ისევ შეეკრა სუნთქვა. ჰაერი! ჰაერი აღარა ჰყოფნის, მაინც თავს ძალა დაატანა. იდაყვებით დაეყრდნო სავარძლის სახელურს და ზეზე წამოდგა. კარი გამოაღო.

— ბატონო მერენბლიუმ, საით?

— დაეწია ჭორფლიანი ფარმაცევტი და კოლოფით გამზადებული ფხვნილი მიაწოდა.

მოხუცმა უსიტყვოდ ჩამოართვა და აჩქარებული ლასლასით გაქანდა შინისაკენ.

ბერგშტრასეზე ჯერ სიწყნარეა. ქუჩის მოსახვევში ისევ დასტრიალებს პნევმატიურ ბურღს ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილი მუშა, მაგრამ ეს რა არის? ზუზუნით ჩაიქროლა მაღალ ბორბლებზე შემდგარმა საპოლიციო მანქანამ. მას მიჰყვა ველოსიპედისტების ჯგუფი. მალე უკანიდან ფეხის ხმა მოესმა. მოხუცს ეჩვენება, რომ მთელი ქალაქი მას მისდევს. ცდილობს ნაბიჯს აუჩქაროს, მაგრამ ფეხები ტყვიასავით დაუმძიმდა.

ბავშვის ხელში დაჭერილი ჩიტივით გული ისევ აფართხალდა. ნეტავ მიაღწევს დღეს შინამდე, თუ სადმე ქუჩაში დალევს სულს? „ფხვნილი". — გაუელვა თავში. ახლა იგრძნო ხელში კოლოფი, ფარმაცევტმა რომ მიაჩეჩა. უთუოდ აქვე უნდა მიიღოს წამალი, თორემ შინამდე ვერ მიაღწევს. ქუჩისპირს მდგომ ტუმბოსკენ გაეშურა, საიდანაც მილეულად სცემს შადრევანი.

რაღაც ხორხოცი შემოესმა, მაგრამ უკან მიხედვა ვერ გაუბედავს, აფორიაქებულმა გახსნა კოლოფი, ერთი ფხვნილი ამოიღო, გაშალა, ენა გამოჰყო, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ გვერდში იდაყვი დააჯახა, ძლივს შეიმაგრა თავი დაცემისაგან.

'Raus mit Juden —ჩაესმა ყურში რეტდასხმულს.

როცა გამოერკვა, მოიერიშეები უკვე შორს იყვნენ. ფხვნილი პიჯაკის კალთაზე ჩამობნეოდა. გრიგალისაგან ატაცებული ფოთოლივით მიექანება შინისკენ. ვინდშტრასეს მოსახვევს უახლოვდება. უცებ მათი ქუჩიდან წიოკით და წივილით გამოვარდნენ ქალები და ბავშვები და იმავ წუთს შემოესმა ჩამტვრეული შუშაბანდის ლაწანი და ზრიალი—რბევის დასაწყისის ეს თავზარდამცემი ნიშანი. მოხუცს გააჟრჟოლა, თითქოს ნამტვრევები ტანში შეესოო. „ახლა კი დაიღუპნენ სარა და როზა," — გაუელვა თავში.

თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეკვეთა და რომ არ დაცემულიყო, სადარბაზო კარის სახელურს მოეჭიდა.

— ეი, ბებერო, ნელა დაეცი და უფრო მეტ გემოს ჩაატან! — მიაძახა მუშამ მშრალი ბერლინური ხუმრობა, მაგრამ როცა შენიშნა, რომ ბენიამინმა დაცლილ გუდასავით ჩაიკეცა, ბურღს ხელი უშვა, მოხუცთან მიიჭრა და ზეზე წამოაყენა.—ე, რა მოგივიდა? — შეშფოთებულმა ჩასძახა ბენიამინს.

მოხუცმა მძიმედ ამოითქვა სული და თვალები გაახილა. ერთხანს უაზროდ ატრიალებდა თვალებს. ვერ მოესაზრებინა, რა მოუვიდა. პიჯაკის კალთაზე მობნეულ ფხვნილს მოჰკრა თვალი. უცებ მოაგონდა ყველაფერი. სასოწარკვეთილი მიესვენა სადარბაზო კარს. მუშამ ხელი უშვა, თავის ბარგთან მიიჭრა და მათარით წყალი მოურბენია.

— რა მოგივიდა? მე მეგონა სადღე ზედმეტი გადაჰკარი, — ისევ ჩაეკითხა ბოდიშნარევი ღიმილით და ყელზე წკიპურტი გაიკრა.

ბენიამინი შიშისაგან გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა მუშას, თითქოს ენა ჩაუვარდაო. პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, კისერი ვინდშტრასისაკენ მოიღრიცა და სწორედ ამ დროს იმ მხრიდან, საითაც მოხუცი ანიშნებდა, უფრო მკაფიოდ და შემზარავად მოისმა ჩამტვრეული შუშის ლაწანი და რაღაც ხანძრის მსგავს გუგუნში არეული გოდებისა და წივილის ხმები.

—Sauschveine გადააფურთხა აღშფოთებულმა მუშამ, კეპის საჩიხზე ხელი აიკრა და მოსახვევში მომუშავე მუშებს მიუბრუნდა ომახიანი შეძახილით:—ჰალლო!

მაგრამ მათ უკვე შემოსმოდათ რბევის ხმაური და ვინდშტრასესკენ გარბოდნენ.

— Saucshveine —ისევ გაცრა შეკრულ კბილებში მუშამ, ხელები როტფრონტულად დამუშტა და ჰაერში აღმართა: — ერთხელ იქნება ჩვენც გავუსწორებთ ანგარიშს!

ამ დროს მან შენიშნა, რომ უპატრონოდ მიტოვებული პნევმატიური ბურღი ცოცხალ რამ არსებასავით გორავდა და ასფალტს თავს ახეთქებდა, დენი გამოთიშა და თავის ამხანაგებს აედევნა. ბენიამინს იმედი მიეცა. მაშ არა ყოფილა მთლად განწირული? იმედი მხრებში შეუდგა, ზეზე წამოაყენა, თითონაც ლასლასით გამოუდგა მუშებს.

ვინდშტრასედან მომავალი წიოკისა და გოდების. მტვრევისა და ლეწვის ხმა უფრო და უფრო საზარი ხდებოდა. მუშები უკვე შეიჭრნენ აწ საშინელ ქარტეხილში, რათა მიშველებოდნენ აწიოკებულ ებრაელებს. აი ბენიამინმაც მიაღწია ვინდშტრასეს მოსახვევს,

—Halt გზა შეკრულია! — შემოესმა მრისხანე შეყვირება და რეზინის კეტი აიმართა მის თავზე. ქუჩა, სადაც არბევდნენ და ულეტდნენ ებრაელებს, შეკრული აღმოჩნდა. მართლა ხაფანგში არიან მომწყვდეულნი. როგორ წამოვიდა ბენიამინი ასეთ დროს, როგორ მიატოვა სახლი!? სასოწარკვეთილი იკვნეტს თითებს, მოხუცი...

ორჯერ მიაწყდა კედელს, მაგრამ ორჯერვე გულზე ხელის კვრით გამოაგდეს. ქუდი გადაუვარდა, მაგრამ არ შეუნიშნავს. უმწეოდ მიმოიხედა. შემდეგ რაღაც აზრმა გაუელვა თავში. ვინდშტრასეს გასწვრივ ქუჩისკენ გაქანდა. აქედან უნდა თავს დაუაროს, იქნებ მიუსწროს, უკანასკნელ ძალას იკრებს, ოღონდ შინ მიაღწიოს, თითქოს ის დაიხსნის, გადაეფარება ოჯახს. ნეტა როგორ უცემს ახლა სარას და როზას გული? სიკვდილის ანგელოზი დადის მათ უბანში. მაგრამ ბუმბერაზი ქვის სახლები ახშობენ ვინდშტრასედან მომავალ ლეწვისა და გოდების ხმას.

როგორც კი გადაივლის ვინდშტრასეს გადამკვეთ ქუჩებს, უფრო მეტის ძალით შეიჭრება ეს ჯოჯოხეთური გუგუნი, და მაშინ ბენიამინს ეჩვენება, რომ მის ფეხქვეშ ნიადაგი ირყევა, თავბრუ ესხმის. ან იქნებ ეს სახლები ქანაობენ? სარეცხავივით თავზე დაექცევიან. ისევ მოაგონდა იობის გოდება... „და იქეც ქალაქი ჩემდა საფლავ".

რამდენჯერ სცადა ვინდშტრასეზე შეჭრა, მაგრამ გზა ყველგან შეკრული აღმოჩნდა. ინვალიდების პარკიდან თუ დაუვლის თავს. უმოკლესი გზაა, მაგრამ გაუთავებელი აღმართია. მაინც მიისწრაფის წინ. ფეხის კუნთებში წიწკნას გრძნობს, თითქოს უცხო რამ საგნებს ადგამს უკვე გახევებულ ფეხებს.

აი პარკში შეიჭრა. როგორ ეუცხოვა ბაღისა და ტბის ეს სიჩუმე... აქამდე არ აღწევს ქუჩის გამძვინვარებული ღმუილი, თითქოს ეს ბაღი წყნარი კუნძულია აწ რბევისა და კაციჭამიების გამძვინვარებულ ზღვაში, რომელიც მოხუც ბენიამინს და მის ოჯახს ჩანთქმას უპირებს. წინ ბაჭია გამოუხტა, გაოცებულმა ყურები დაცქვიტა და კორდს გადაევლო. მისდევს აღმართს მოხუცი. მაგრამ გრძნობს, რომ მეტი აღარ შეუძლია.

გული თითქო ადგილიდან დაიძრა, სულ ზევით და ზევით მიიწევს. ყელს მიებჯინა, რაღაც წითელი წრეები დაუტრიალდა თვალწინ და მოხუცი მოწყვეტით დაეცა აღმართის თავზე დადგმულ მერხზე.

შენიშნა თუ არა სულთმობრძავმა, რომ მერხის საზურგეზე ვეებერთელა ასოებით იყო გამოყვანილი: „მხოლოდ არიელთათვის", ალბათ, შენიშნა, იმიტომ რომ საშინლად დაეწმაწნა სახე და ისე გაიქნია ხელი, თითქოს წამოდგომას ლამობსო, შემდეგ უსასოოდ ჩამოეკიდა მკლავი. გულიდან ამომსკდარი გმინვა ხრიალად იქცა და მალე ისევ მიწყდა.

ნიავის სუნთქვაზე ნაზად შრიალებდა ტბის გარშემო აზიდული ლელი. მდორედ ჩქეფდა ნაპირს მიღწეული ტალღა. ერთმანეთს ეხლებოდნენ ჯაჭვით მიბმული ნავები. ფარფატით ეცემოდა ძირს ცაცხვის ყვითელი ფოთოლი.

აღარ სცემდა მხოლოდ მოხუცი ბენიამინის გული.

შალომ ალეიხემის ხსოვნის საღამო

25 მაისს მწერალთა კლუბში გაიმართა ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის შალომ ალეიხემის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, რომელიც გაიხსნა ამხ. კონსტ. ლორთქიფანიძის შესავალი სიტყვით.

მოხსენებები შალომ ალეიხემის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წაიკითხეს ამხ. დ. შაფთოშვილმა (რუსულად) და მ. ზონენაშვილმა (ქართულად). შალომ ალეიხემის შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ბ. ჟღენტი და დ. შერმანი.

ორატორებმა შალომ ალეიხემი დაახასიათეს როგორც ნამდვილი სახალხო მწერალი, რომელიც საზრდოს თავის შემოქმედებისათვის ღებულობდა მშრომელ ებრაელთა ცხოვრებიდან, გამოხატავდა რა მათ მისწრაფებებს. ყველა მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები გამსჭვალულია ღრმა სიძულვილით კაპიტალისტური წესწყობილებისადმი და ბურჟუაზიისადმი. მისი ერთი ცნობილი მოთხრობის გმირი მერძევე ტევიე ანსახიერებს ებრაელი ხალხის ქედმოუხრელობას და შეუდრეკლობას იმ საშინელებათა წინაშე, რომელიც მას გადახდა ექსპლოატატორებთან და მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

შალომ ალეიხემის იუბილე, რომელიც მთელმა საბჭოთა კავშირმა იდღესასწაულა, — სთქვეს ამხანაგებმა, — წარმოადგენს საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის მკაფიო გამოხატულებას. იმ დროს, როდესაც საბჭოთა საზღვრებს გადაღმა — ფაშისტურ ქვეყნებში ებრაული მოსახლეობა განიცდის წარმოუდგენელ დევნასა და შევიწროებას, საბჭოთა მთავრობა სტალინური მზრუნველობით ხელს უწყობს ებრაული მშრომელი ხალხის სამეურნეო-კულტურულ აყვავებას, იშვიათი გულმოდგინებით პატრონობს და ყველა ერისათვის მისაწვდომად ხდის იმ ძვირფას კულტურულ განძს, რომელიც ებრაელ ხალხს შეუქმნია.

მოხსენებისა და სიტყვების დამთავრების შემდეგ ს. ეულმა წაიკითხა შალომ ალეიხემის „ხუმრობის" საკუთარი თარგმანი. თბილისის საოპერო თეატრის გუნდის ანსამბლმა შეასრულა შალომ ალეიხემის ტექსტზე დაწერილი სიმღერები, და ესტრადის მსახიობმა რუსოვსკაიამ— ებრაული ხალხური სიმღერები.

„საბჭოთა ხელოვნება" № 4

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მე-4 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია მოწინავე „აღვზარდოთ თეატრალური კადრები", პროფ. შ. ასლანიშვილის „მეფის საცოლე" საოპერო თეატრში, ა. ფევრალსკის „მაიაკოვსკი —დრამატურგი", ჰეგელის „ლექციები ესთეტიკის შესახებ" (გაგრძელება), ნ. გუდიაშვილის „თეოდორ ჟერიკო", შ. ალხაზიშვილის „შექსპირის მსახიობები", ვ. კალაძის „მხატვრული ენა და დრამატურგია", ნ. გვარაძის „მოგონებანი", ვალ. მგალობლიშვილის „დები ჟერარები", შ. ბუაჩიძის „აფხაზეთის სახელმწიფო თეატრი", აკ. ფალავას „პერიფერიის თეატრები", ლიდია მეგრელიძის „პირველი ნაბიჯები", გ. ნარიძის „მომავალი სეზონის რეპერტუარისათვის", ალ. სიგუას „აი ფილოსოფია", ი. ენიკოლოფოვის „ნ. ბარათაშვილის პორტრეტის შესახებ". ნ. ტყეშელაშვილის „კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი", ან. აღლაძის „ერთი დღე თბილისის სამხატვრო აკადემიაში".

გარდა ამისა, ჟურნალში მოთავსებულია ხელოვნების კალენდარი, რაიონის თეატრალური ცხოვრების ინფორმაცია და ქრონიკა.

ჟურნალი კარგათ არის დაბეჭდილი და დასურათებული.

ყდაზე დაბეჭდილია ქ. გიორგაძის „სუბტროპიკული პეიზაჟი" (ფერადი სურათი).

ხალხური სიმღერების საღამო მწერალთა კლუბში

ბეგლარ აკობიას ხელმძღვანელობით არსებული მეგრული ჩონგურის გუნდი ათი წელიწადია, რაც დროგამოშვებით გამოდის საქართველოს ქალაქების ესტრადებზე და სარგებლობს დიდი პოპულარობით, განსაკუთრებით სამეგრელოში. გუნდს აქვს მეტად მდიდარი რეპერტუარი, რომელიც ასამდე სხვადასხვა სიმღერიდან შესდგება. აქედან ორმოცამდე საგუნდე სიმღერაა, რომელიც ჩონგურის აკომპანიმენტით სრულდება. გუნდის რეპერტუარი თემატიურადაც მრავალფეროვანია. იგი შეიცავს სიმღერებს **ლენინზე** და **სტალინზე,** ამხანაგ **ვოროშილოვზე,** ამხანაგ **ბერიაზე,** წითელ არმიაზე, სოციალისტურ მშენებლობაზე, ჩვენი ქვეყნის შრომის გმირებზე, ჩვენი ხალხის ძველ და ახალ ყოფა-ცხოვრებაზე, სატრფიალო, სამგლოვიარო თემებზე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ცოლქმარმა ქიონია და ბეგლარ აკობიებმა აღადგინეს თორმეტი სრულიად მივიწყებული მეგრული ხალხური ჰანგი და თავადაც ხალხურ მოტივებზე შექმნეს 17 ახალი სიმღერა.

19 მაისს მეგრული ჩონგურის გუნდი გამოვიდა მწერალთა აუდიტორიის წინაშე. გუნდმა შეასრულა მეგრული, აფხაზური, სვანური, გურული და სხვ. მელოდიები, სულ ოცამდე სიმღერა ჩონგურის აკომპანიმენტით. ყველა ნომერმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, განსაკუთრებით მოწონება ხვდა დიდი ბელადის სტალინის სადიდებლად გამოთქმულ სვანურ ჰიმნს და აფხაზურ სიმღერას.

ბ. აკობიას ხელმძღვანელობით არსებული ჩონგურის გუნდის დიდი ღირსება და უპირატესობა სხვა მსგავს გუნდებთან შედარებით ის არის, რომ იგი სრული ბუნებრივი კილოთი, გადაუკეთებლად და შეულამაზებლად, ასრულებს არა მარტო მეგრულ, არამედ სვანურს, აფხაზურს, გურულს და სხვა ხალხურ სიმღერებს.

დრამატურგთა სექციაში

ეჟენ სკრიბის პიესა „ჭიქა წყალის" თარგმანის განხილვა

ირ. ქავჟარაძემ ფრანგულიდან სთარგმნა ეჟენ სკრიბის პიესა „ჭიქა წყალი". დრამატურგთა სექციამ ამ რამდენიმე დღის წინათ მოაწყო ამ თარგმანის კითხვა. თარგმანზე თავიანთი აზრი გამოსთქვეს ალ. ჭეიშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, პლ. კეშელავამ, ს. მთვარაძემ და ბ. ჟღენტმა. ამხანაგებმა მოიწონეს ქავჟარაძის ნამუშევარი. პიესა სუფთა ლიტერატურული ენით არისო თარგმნილი, განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სცენიურის თვალსაზრისით მოსწრებულად გადმოღებული დიალოგები. ამხანაგებმა სასურველად სცნეს პიესის გამოქვეყნება და მისი დადგმა რომელიმე ჩვენი აკადემიური თეატრის სცენაზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი **შალვა რადიანი.**

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის . რწმუნებული—1775